საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 162 (20208) — ორშაბათი, 18 ივლისი, 1988 წელი. — ფასი 3 კაპ.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

სამშობლოს უპატაკეს

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ შეასრულა ნახევარი წლის გეგმა ყველა ძირითადი საწარმოო მაჩვენებლის მიხედვით. ასეთ წარმატებას დარგმა ბოლო წლების მანძილზე პირველად მიაღწია. ამაში დაეხმარა სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლა, რამაც სტიმული მიანიჭა გამოუყენებელი რეზერვების ძიებას და ხელი შეუწყო საქმის ზუსტ ორგანიზაციას მთავარ უბნებზე.

დავალებათა რეალიზაცია უპატაკეს სამშობლოს მშენებლებმაც, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომობენ, მაგალითად, „სლავუტიჩმშენის" მშრომელებმა ექვსი თვის პროგრამა 123 პროცენტით შეასრულეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს ანგარიშით მეშვიდე საცხოვრებელი სახლი ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ენერგეტიკოსთა ახალგაზრდა ქალაქში.

▼▼

არის შვიდი თვის გეგმა

მეთორმეტე ხუთწლედის მესამე წელს მონდომებით შრომობენ ქ. ფოთის სამრეწველო კომპლექსის კოლექტივის მშრომელები — თერთმეტი ივლისისათვის მათ უკვე შეასრულეს პროდუქციის გამოშვების 1988 წლის შვიდი თვის გეგმა — დავალების გადამეტებით დაამზადეს 8 მილიონი მანეთის პროდუქცია. ნაკისრ ვალდებულებებს დროის გასწრებით ასრულებენ გემთსაშენებელ-შემკეთებელი, ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელი, „ელექტროაპარატის" ქარხნების, პურკომბინატის კოლექტივები, „კოლხეთის" მეთევზეთა კოლმეურნეობა.

▼▼

ქერის მკა დაამთავრეს

ლაგოდეხის რაიონის მემინდვრეებმა და მექანიზატორებმა, თავთავიანებისათვის არახელსაყრელი ამინდების მიუხედავად, დაამთავრეს ქერის მოსავლის აღება 1443 ჰექტარზე, საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 24,5 ცენტნერი მარცვალი. ქერის უხვი მოსავალი აქვთ ორჯონიკიძის, ულიანოვკის, შრომის, ბაისუბნის, ჰაბუკიანის კოლმეურნეობებს.

● XIX პარტიული კონფერენციის რეზოლუციები

უსაჯაროობოდ არ არის გარდაქმნა, არ არის დემოკრატია

კონფერენციის წინ სარედაქციო ფოსტაში რეფრენად გაისმოდა აზრი: კონფერენციისაგან მოველით საჯაროობისა და სიმართლის გაკვეთილებს. ვფიქრობთ, ეს მოლოდინი გამართლდა — საჯაროობა კონფერენციის ერთ-ერთი გმირი გახდა. თვით დისკუსიამ კონფერენციაზე, რომელსაც დიდი ინტერესით ვადევნებდით თვალყურს, ასახა კარგახსნილობის, პატიოსნების, გულახდილობის ატმოსფერო, რომელიც საზოგადოებაში მკვიდრდება.

კონფერენციამ, როგორც მოგეხსენებათ, სხვებთან ერთად მიიღო რეზოლუცია „საჯაროობის შესახებ". იმას, ვინც ყურადღებით წაიკითხა იგი, არ შეეძლო ყურადღება არ მიექცია სიტყვებისათვის: „საზოგადოების ცხოვრებაში საჯაროობის შეტანა". შეტანა... ეს ნიშნავს, რომ იგი ჩვენში არ ყოფილა, და ჩვენ არ ვიცოდით, რა არის ცხოვრება საჯაროობის პირობებში. უმისოდ, უსაჯაროობოდ კი ადამიანებს ეშინოდათ ხმამაღლა ეთქვათ სიმართლე, რადგან ყოველივე ის, რასაც შემდეგ უძრაობის მოვლენები ეწოდა, ამოფარებული იყო პარტიისა და ხალხის სახელს, ჰოდა, გაბედე და თქვი სიმართლე, თუ იგი არყევდა „ავტორიტეტებს", ამზეურებდა ყალბ გმირებს, მინისტრთა რანგის თაღლითებს, მატყუარებსა და მლიქვნელებს.

საჯაროობა გარდაქმნის ბასრი იარაღია, და ის, რომ ზოგიერთს დღემდე ეშინია მისი, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რაოდენ აუცილებელია იგი. სხვადასხვა სახის დეფორმაციებისაგან განწმენდის საშუალებას, მოძველებული ავადმყოფობის მკურნალობის საშუალებას უწოდებენ ჩვენი მკითხველები საჯაროობას. ისინი მსჯელობენ იმაზე, თუ რა ვუყოთ მას შემდგომში, დაწყებული ცვლილებების შეუქცევადობის გარანტიებზე. აი წერილების ზოგიერთი სტრიქონი. „კომუნისტთა დიდ უმრავლესობას ჯერჯერობით არა აქვს მთავარი — თავისუფლად ხელი არ მიუწვდება ინფორმაციაზე, რომელიც კვლავ იმავე ხელმძღვანელობის კონტროლს ექვემდებარება". „რაც უფრო შორს ვართ მოსკოვიდან, მით უფრო ქვეითდება საჯაროობის დონე". „რისი გვეშინია? საჯაროობით გამოცდისა? სულ ტყუილად: მეტი უნდა გავაკეთოთ, რათა საჯაროობა ყოველთვის და ყველაფერში გვევლინებოდეს მხოლოდ თავისი საკუთარი სახით — საჯაროობით, პროვინციული ფერუმარილისა და იაფფასიანი შელამაზების გარეშე".

საჭიროდ არ მიგვაჩნია დაწვრილებით გიამბოთ „საჯაროობის შესახებ" რეზოლუციის შინაარსი — იგი ყველასთვის ხელმისაწვდომია. გვინდა გამოვყოთ, ჩვენი აზრით, ძირითადი მომენტები.

პირველად ვ. ი. ლენინის შემდეგ პარტიული კონფერენცია იძლევა სოციალისტურ საზოგადოებაში საჯაროობის ვრცელ კონცეფციას, ლაპარაკობს მის როლსა და დანიშნულებაზე, რეალურ საჭიროებაზე ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. საჯაროობის შემდგომი განვითარება კონფერენციას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ამოცანად მიაჩნია. ხაზს ვუსვამთ — პოლიტიკურ ამოცანად, რადგან საქმე ეხება სოციალიზმისა და გარდაქმნის ინტერესებს, ქვეყნის ხვე-ბედს.

მკითხველს სამართლიანად შეუძლია იკითხოს: „მე საჯაროობის მომხრე ვარ, მაგრამ რა საქმე მაქვს პოლიტიკურ ამოცანებთან? მათ ხომ ხელმძღვანელობა განსაზღვრავს!". ნუ ავჩქარდებით და ნუ ვიხმართ აქ ეპითეტს — გულუბრყვილოს. ყოველი ჩვენგანი თავის დანიშნულებას ხედავს თავისი მუშაობის, საქმის პრიზმით, ცოცხალ პრაქტიკასთან ზიარებით, როცა შენ ან გრძნობ, რომ სჭირდები, ან არა. მრავალი წლის შემდეგ, როცა შენ ხრახნად მიაჩნდი, პოლიტიკის ფორმირების გემო უბრალო ადამიანს დაკარგული ჰქონდა. აი რატომ არის, რომ კონფერენციას საჯაროობა, მისი გაფართოება მიაჩნია იმის აუცილებელ პირობად, რომ პიროვნება ეზიაროს საზოგადოების, სახელმწიფოს, კოლექტივის ყველა საქმეს. ამ ზიარების მეშვეობით ვმონაწილეობთ პოლიტიკაში, ამ ზიარების მეშვეობით ვაყალიბებთ მას. და არა მარტო ვაყალიბებთ. საჯაროობა — ეს არის სოციალიზმის დეფორმაციების საწინააღმდეგო გარანტიაც, რადგან იგი ქმნის სოციალური ინსტიტუტების, ხელისუფლებისა და სახელმწიფოს ორგანოების მუშაობისადმი საყოველთაო-სახალხო კონტროლის საფუძველს.

ჩვენ დღეს ვსწავლობთ საჯაროობის პირობებში ცხოვრებას. თამამად შეიძლება ითქვას: იგი ჩვენი საერთო მონაპოვარია. ჩვენ იგი ჩვენს სახლში გულღიად მივიღეთ და მაშინვე შევიყვარეთ. ჩვენ მოგვწონს ცხოვრება ისეთ პირობებში, როცა სიმართლის თქმის შიშს ცვლის მოქალაქეობრივი სურვილი გამოთქვა საკუთარი აზრი ნებისმიერ საკითხზე; მოგვწონს, რომ აზრთა სოციალისტური პლურალიზმი ნორმა ხდება, ხოლო ცხარე კამათი და დისკუსიები გვიხსნის გზას ჭეშმარიტებისაკენ. მაგრამ საჯაროობას, როგორც უნდა გვიყვარდეს, დღეს თავად სჭირდება გაღრმავებაც, მხარდაჭერაც, რადგან იგი განვითარებადი პროცესია.

რატომ სწორედ მხარდაჭერა?

საქმე ის არის, რომ ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ მიუწვდომელია ფართო საზოგადოებრიობისათვის, არ გამოიყენება გარდაქმნის, მასების, სამმართველო კადრების პოლიტიკური კულტურის ამაღლების მიზნებისათვის. ადგილებიდან არცთუ იშვიათად მოდის ცნობები, რომ საჯაროობას აფერხებენ. მის გზაზე იქმნება დაბრკოლებები, მათ შორის კუთხური და უწყებრივი. არ კლებულობს წერილების ნაკადი „პრავდაშიც", რომლებიც შეიცავს მშრომელთა საჩივრებს. ახლა კრიტიკისათვის დევნას და ანგარიშის გასწორებას არ იკითხავთ? განა დავამარცხეთ ეს მოვლენა? საჯაროობას სჭირდება დაცვა ამბიციებისაგან, როცა მისი ალმით ცდილობენ დაიკმაყოფილონ პირადი თუ ჯგუფური ინტერესები, როცა ამ ინტერესებს გულისხმობენ ალარაფრად აგდებენ ამხანაგურ მომთხოვნელობას, ღირსებისა და მოქალაქეობის ცნებებს. ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ საჯაროობის განუყოფელი პრინციპის პატიოსანი გაგებით — აზრთა გამოთქმის თავისუფლება დღეს პიროვნების ამაღლებისა და მისი ღირსების დაცვის საქმეს ემსახურება, და არა პიროვნების დამცირებას ცილისწამებისა და შეურაცხმყოფელი იარლიყების მეშვეობით.

ავითარებს რა საჯაროობას, ნათქვამია რეზოლუციაში, პარტია უცვლელად ხელმძღვანელობს ლენინის მითითებით, რომ მასებმა ყველაფერი უნდა იცოდნენ, ყველაფერზე მსჯელობდნენ და ყველაფერს შეგნებულად აკეთებდნენ. კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს სჭირდება სიმართლე, სრული და ობიექტური ინფორმაცია ყოველივე იმის შესახებ, რაც საზოგადოებაში ხდება. საჯაროობა გარდაქმნის იდეებისა და პრინციპების გარშემო მთელი საზოგადოებრივი ძალების კონსოლიდაციის მიზნებს უნდა ემსახურებოდეს.

ვფიქრობთ, ღრმა კმაყოფილება გამოიწვია რეზოლუციის თეზისმა იმის შესახებ, რომ სწორედ პარტია კისრულობს ყოველმხრივ შეუწყოს ხელი თავის მხრივ საჯაროობის ძირითადი პრინციპების დამკვიდრებასა და განვითარებას. რა პრინციპებია ეს? თითოეული მოქალაქის ხელშეუვალი უფლება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საკითხზე იღებდეს სრულ და უტყუარ ინფორმაციას, რომელიც არ შეადგენს სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოებას. ყოველგვარი საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხის ღია და თავისუფალი განხილვის უფლება.

კონფერენციამ აღნიშნა, რომ საჯაროობის განვითარებაში ინიციატივის მაგალითს პარტია უნდა იძლეოდეს. ეს აზრი გაისმოდა მშრომელთა წერილებში, კონფერენციისათვის მზადების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების განხილვის დროს დისკუსიებში. იგი აისახა რეზოლუციაში.

იმისათვის კი, რომ პარტია მისაბაძი მაგალითი იყოს, ბევრი რამ უნდა ხელახლა გაიაზროს თითოეულმა პარტიულმა მუშაკმა. ბევრი რამ უნდა შეითვისოს — და არა მარტო ცოდნა, არამედ ცხოვრების გაკვეთილებიც. ხოლო ყველაზე მთავარია შევიგნოთ, რომ უსაჯაროობოდ არ არის გარდაქმნა, არ არის დემოკრატია. რომ საჯაროობა დემოკრატიული, ჰუმანური სოციალიზმის ცხოვრებისა და პროგრესის ბუნებრივი ატმოსფეროა. ბუნებრივი! მოგვწონს საჯაროობა თუ არ მოგვწონს — წარსულს ვერ დავუბრუნდებით და არც დავუბრუნდებით. ამიტომ უცნაური იყო კონფერენციის წინ ზოგიერთი პარტიული მუშაკის მიერ გამოთქმული აზრი, თითქოს პრესა ყველაფერს არყევდეს, ძირს უთხრიდეს მათს ავტორიტეტს, ამიტომ კონფერენციის შემდეგ ბოლო მოეღებაო ჟურნალისტთა თავისუფლებას. გარკვეულწილად ეს დამოკიდებულება პარტიული პრესისადმი გამოავლინა ზოგიერთმა დელეგატმაც. თითქოსდა, სწორედ პარტიულ მუშაკებს სხვებზე უკეთ უნდა ესმოდეთ პარტიული ორგანოს როლი საჯაროობის განვითარებაში, ეყრდნობოდნენ მას, ფაქტები კი სხვას მეტყველებს: ზოგან ჟურნალისტების მიმართ აშკარა მტრობა შეიმჩნევა.

კონფერენციამ აღნიშნა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მნიშვნელოვანი როლი საჯაროობის გაფართოებაში. რა თქმა უნდა, ბევრი რამ არის გაკეთებული, პრესაც გასაკრიტიკებელია ზოგიერთ რამეში. გამოითქვა მოთხოვნა, რომ ჟურნალისტებმა უნდა გააძლიერონ პასუხისმგებლობა ნაბეჭდი სიტყვისათვის. ჯერ კიდევ გვახსოვს ის დრო, როცა იგი ავტორიტარულობისა და ბიუროკრატიული თვითნებობის მორჩილი იარაღი იყო. დღეს პრესაც უნდა გარდაიქმნას, სწავლობდეს კრიტიკის კულტურას, ამხანაგური დისკუსიის კულტურას. ეს არ არის კრიტიკაზე უარის თქმა. კრიტიკული გამოსვლების შეფერხება შეუწყნარებელია. მაგრამ შეუწყნარებელია აგრეთვე მოქალაქის სახელისა და ღირსების შემლახველი არაობიექტური ინფორმაციის გამოქვეყნება. პრესამ დაუმახინჯებლად უნდა ასახოს მოკამათე მხარეების თვალსაზრისი. არავის არა აქვს ჭეშმარიტების მონოპოლია, არ უნდა იყოს საჯაროობის მონოპოლიაც.

კარგახსნილობისა და საჯაროობის ნიადაგი ნაყოფიერია პრესისათვის. მაგრამ კარგ ნიადაგზეც შეიძლება გაჩნდეს სარეველები. ყველამ უნდა ადევნოს თვალყური იმას, რომ თავი არ იჩინოს ჯგუფურობამ, დემაგოგიის, ეროვნული, რეგიონალური თუ კორპორაციული ეგოიზმის გამოვლინებამ.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში საჯაროობის შეტანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგ ხავსებით გამართლდა. მაგრამ საჯაროობა არ არის განუკითხაობა, არ არის პრინციპი — რასაც მინდა, იმას ვიზამო. და შემთხვევით როდია რეზოლუციაში ლაპარაკი იმაზე, რომ დაუშვებელია საჯაროობის გამოყენება სახელმწიფოს, საზოგადოების ინტერესების, პიროვნების უფლებების საზიანოდ, ომის, ძალადობის, რასიზმის, ეროვნული და რელიგიური შეუწყნარებლობის ქადაგების, სისასტიკის პროპაგანდისა და პორნოგრაფიის გავრცელებისათვის, აგრეთვე საჯაროობით მანიპულირებისათვის.

დღეს სიტყვა „საჯაროობა" ფართოდ არის ცნობილი მთელ მსოფლიოში. ერთ დროს ცდილობდნენ ეთარგმნათ იგი, მაგრამ შემდეგ გაზეთში უთარგმნელად იბეჭდებოდა („გლასნოსტ"). იმას, თუ რა არის ამ სიტყვის მიღმა, სწავლობენ არა ენათმეცნიერები, არამედ პოლიტიკოსები. ჩვენთვის კი საერთაშორისო ასპარეზზე საჯაროობა ხელს უწყობს მშვიდობისა და თანამშრომლობის საქმეს, უბირთვო და უძალადო მსოფლიოს იდეების განმტკიცებას.

საჯაროობა, კრიტიკა, თვითკრიტიკა ხალხის ინტერესებს ემსახურება. ისინი ასახავენ ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური სისტემის კარგახსნილობას. ისინი მოწმობენ მის ძალას, პოლიტიკურ ცხოველუნარიანობასა და ზნეობრივ სიჯანსაღეს.

ПРАВДА — 11 ივლისის მოწინავე.

გარდაქმნა გვაახლოებს

მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრები კრაკოვში

კრაკოვი, 12 ივლისი (საქდესის სპეც. კორ.). დღეს კრაკოვი გულითადად შეხვდა მ. ს. გორბაჩოვს, რომელიც ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად არის პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში.

პოლონეთის მეორე დედაქალაქს, პოლონური სახელმწიფოებრიობისა და კულტურის აკვანს უწოდებენ ქვეყნის სამხრეთის ამ უდიდეს სამრეწველო და სამეცნიერო ცენტრს. კრაკოვს მდიდარი და სახელოვანი ისტორია აქვს. მისი ცენტრალური ნაწილის ყოველი შენობა წარსულ საუკუნეთა ხუროთმოძღვრების განუმეორებელი შედევრია, პოლონური და მსოფლიო კულტურის, მეცნიერების, პოლიტიკის გამოჩენილ მოღვაწეთა ცოცხალი ხსოვნაა. კრაკოვის ისტორიის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ფურცელი ვ. ი. ლენინის ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული. 1912-1914 წლებში ამ ქალაქში, აგრეთვე ახლომდებარე დასახლებულ პუნქტებში ბელი დუნაიცსა და პორონინში ცხოვრობდა და მუშაობდა ვლადიმერ ილიას ძე. ახლა აქ შექმნილია ლენინის მუზეუმები, სადაც ყოველწლიურად ასიათასობით ადამიანი მოდის სახალხო პოლონეთის ყველა კუთხიდან და საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნიდან.

...10 საათი და 35 წუთია ადგილობრივი დროით; ვარშავიდან კრაკოვის ბალიცის აეროდრომზე ჩამოსულ მ. ს. გორბაჩოვსა და მის მეუღლეს დახვდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. იარუზელსკი მეუღლითურთ, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის კრაკოვის კომიტეტის პირველი მდივანი ი. გაევიჩი, კრაკოვის სახალხო საბჭოს თავმჯდომარე ა. კოზუბი, კრაკოვის პრეზიდენტი ტ. სალვა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ქვეყანაში მოგზაურობისას მ. ს. გორბაჩოვს ახლავან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ა. მედვედევი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ე. სოკოლოვი, სსრ კავშირის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ი. ბროვიკოვი. პოლონეთის მხრივ — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ჩირეკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი მ. გორივოდა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი ზ. კოლოძეიჩაკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგე ე. კუჩა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ტ. ოლეხოვსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ვ. ნატორფი.

ამრიგად, ერთ-ერთი ლენინური ფურცელი კრაკოვის მიწაწყალზე — ბელი დუნაეცი. გლეხის ტერესა სკუპენის ოროთახიან და მანსარდიან პატარა ხის სახლში ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ 1913-1914 წლებში ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია. აქ ვლადიმერ ილიას ძეს ხშირად ნახულობდნენ რევოლუციური ბრძოლაში მისი თანამოსაგრენი, აქ დაიწერა ლენინის ათობით ნაშრომი. სახლ-მუზეუმის შესასვლელთან სტუმართმოყვარეობის კოლორიტული წეს-ჩვეულება სრულდება: პურ-მარილი ძევს მოქარგულ პირსახოცზე, უკრავს გურალელ მუსიკოსთა კაპელა.

მ. ს. გორბაჩოვი გაეცნო სახლ-მუზეუმის ექსპოზიციას, სადაც მზრუნველი ხელით არის აღდგენილი იმ სამახსოვრო ხანის მთელი ვითარება. საპატიო დამთვალიერებელთა წიგნში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ჩანაწერი დატოვა.

ტატრების მწვანე ფერდობებზე რამდენიმე წუთის მგზავრობის შემდეგ ავტომანქანების კორტეჟი პორონინში ჩადის. აქ 1913 წლის ოქტომბერში ვ. ი. ლენინთან ერთად ცხოვრობდნენ ხოლმე პორონინის თათბირის მონაწილენი, რუსი სოციალ-დემოკრატები. მუზეუმის პარკში, რომელსაც ამ მოვლენის ხსოვნა შემოუნახავს, დადგმულია ლენინის ძეგლი — ლენინგრადელ მუშათა საჩუქარი პოლონელი ხალხისადმი. მ. ს. გორბაჩოვმა გვირგვინით შეამკო მისი კვარცხლბეკი.

• • •

მოსკოვს ვერ შეიცნობ, თუ არ ნახე კრემლი, ძნელია პრაღაზე წარმოდგენა შეგექმნას, თუ არ მოიარე პრაღის კრემლის კოშკები და სასახლეები. იგივე შეიძლება ითქვას კრაკოვის ისტორიულ ცენტრზე — მთავარი ბაზრის მოედანზე თავისი ცნობილი მაუდის რიგებითა და ლეგენდებით მოსილი მარიაცის ტაძრის კოშკებით, მისი სამრეკლოდან ყოველდღე შუადღისას გაისმის მებუკე — ჰეინალის სიგნალი, რომლითაც აზუსტებენ დროს პოლონეთში ისევე, როგორც მოსკოველები მაცხოვრის კოშკის კურანტების მიხედვით.

ნაშუადღევს კრაკოვის ქუჩებში და ძველი უბნების მოედნებზე გამოსული ქალაქელები გულთბილად ეგებებოდნენ მ. ს. გორბაჩოვს, რომელიც პორონინიდან ძველ ქალაქში ჩამოვიდა.

ისტორიულ მოედანზე საბჭოთა ხელმძღვანელს მისალმების შეძახილებით ხვდებოდნენ, ხელს ართმევდნენ, გამარჯვებას უსურვებდნენ და თაიგულებს უძღვნიდნენ. მიხაკსა და ვარდს, ხმალასა და ჰერბერას — ათობით საუკეთესო თაიგულს უძღვნიან სტუმარს მეჯავილე გოგონები. და რა მოხდა, თუ ყოველ მათგანს არ ჰქონდა შეხვედრისას ყვავილები. თავის სიმპათიას კაცისადმი, რომელიც პოლონეთის საზოგადოებრიობამ „ყველაზე პოპულარულ სახელმწიფო ხელმძღვანელად" აღიარა, ხალხი გამოხატავს ღიმილით, მისალმების ჟესტით, და კიდევ იმით, რომ მას ბავშვებს აგებებენ.

გენერალურ მდივანთან საუბრებში კრაკოველებმა წარმატება უსურვეს საბჭოთა გარდაქმნას, სიმპათიებს გამოთქვამდნენ საბჭოთა ხალხისადმი, ამბობდნენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე ქვეყნის მოქალაქეთა კონტაქტების შემდგომ განვითარებას.

• • •

საღამოს მ. ს. გორბაჩოვმა დაათვალიერა კრაკოვის ვაველის სასახლე და ვ. იარუზელსკისთან ერთად მონაწილეობა მიიღო პოლონეთისა და საბჭოთა ახალგაზრდობის მეგობრობის მიტინგში.

კრაკოვის გაცნობის შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ვარშავაში დაბრუნდა. (საქდესი).

[illegible]

სურათზე: ჯემალ ხუციშვილი.

დ. იაკობაშვილის („კომუნისტი") ფოტო.

მომავლის რწმენით

უამრავი ხალხი მოდის მოსკოვის ოლქის ყველასათვის ძვირფას ნაკრძალ კუთხეში — გორკი ლენინსკიეში. აქ ჩამოდიან, რათა უკეთ გაეცნონ ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, შეადარონ დღევანდელი მიღწევები ილიჩის ანდერძს.

ეს აზრი გაისმა 12 ივლისს გორკი ლენინსკიეში გამართულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა გორკაში ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმის შექმნის შესახებ საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს გადაწყვეტილების მიღების 50 წლისთავს. კონფერენციაში მონაწილეობდნენ მეცნიერები, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის, ცენტრალური პარტიული არქივის თანამშრომლები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები. საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ვეტერანები, რომლებიც მუზეუმის შექმნის სათავეებთან იდგნენ.

სსრ კავშირის მთავარკოსმოსში

როგორც საქდესის კორესპონდენტს აცნობეს სსრ კავშირის მთავარკოსმოსში, 12 ივლისს ბაიკონურში გაფრინდნენ ჩვენს ქვეყანაში ჩამოსული დიდი ბრიტანეთის, იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უდიდესი სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლები.

კოსმოდრომის დათვალიერების ორი დღის მანძილზე სტუმრები ნახავენ „ფობოს-2" საპლანეტთაშორისო სადგურის სტარტს, რომელიც ორბიტაზე გაჰყავს რაკეტა-მატარებელ „პროტონს". ისინი აგრეთვე გაეცნობიან ამ რაკეტის მეშვეობით სასარგებლო ტვირთის გატანის ორგანიზაციას. ბიზნესმენთა ვიზიტმა ხელი უნდა შეუწყოს უფრო სასიკეთო პირობების შექმნას, რათა მათი კომპანიები მიიზიდონ შესაძლო კომერციული გაშვების დაზღვევაში, რასაც სსრ კავშირის სადაზღვევო სააქციო საზოგადოება ახორციელებს.

კავკასიონის საუღელტეხილო: საზოგადოებრივი აზრის სასწორზე

ახლა ძნელად თუ ნახავთ ჩვენს რესპუბლიკაში ვინმეს, გულგრილად რომ უყურებდეს კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის პრობლემას. ამ ურთულესი ობიექტის გარშემო დაწყებულმა დისკუსიამ საყოველთაო ხასიათი შეიძინა. საქმე ხომ ეხება ტრასას, რომელიც გადის ისტორიული ძეგლებით მდიდარ და უნიკალური ბუნების ადგილებში, რომლის ჭრილობები, როგორც ცნობილია, ძალიან ძნელად შუშდება ან საერთოდ ღიად რჩება ადამიანის უგუნური ჩარევის შედეგად. ამის მაგალითები, სამწუხაროდ, უკვე საკმაოდაა.

გასულ შაბათს ამხანაგებმა ჯ. ი. პატიაშვილმა, გ. ა. ანჩაბაძემ, პ. გ. გილაშვილმა, ნ. ა. ფოფხაძემ, ზ. ა. ჩხეიძემ, ჯ. ვ. მარგველიძემ, ვ. მ. სირაძემ შემოქმედი და სამეცნიერო ინტელიგენციის, მუშათა კლასის, ახალგაზრდული გაერთიანებების წარმომადგენელთა დიდ ჯგუფთან ერთად იმოგზაურეს კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის სავარაუდო ტრასის გაყოლებით, რათა ერთად განეხილათ პრობლემური საკითხები, ადგილზე დაეზუსტებინათ ყველაფერი. ხომ ცნობილია, რომ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას დაევალა მოაწყოს გულდასმითი ექსპერტიზა, და საზოგადოებრიობის მონაწილეობით ყოველმხრივი, საჯარო განხილვის შემდეგ მიღებული იქნება საბოლოო გადაწყვეტილება ამ მაგისტრალის მშენებლობის მხარდასაჭერად ან წინააღმდეგ.

მოგზაურობის მარშრუტი გადიოდა ნასტაკისიდან არაგვის ხეობაში. ნასტაკისში წარმოებს არქეოლოგიური გათხრები, აღმოჩენილია ძველი ძეგლები, სამარხები. თუ განხორციელდა მშენებლობა, ეს მათ ზიანს მიაყენებს — ასეთ აზრს გამოთქვამს მოგზაურობის ზოგიერთი მონაწილე.

აქვე ადგილზე იძლევიან კომპეტენტურ ახსნა-განმარტებებს: სავარაუდო ნაგებობანი განლაგდება გათხრებისაგან დაშორებით, უფრო მეტიც, უკვე ახლა არქეოლოგიური სამუშაოები ფინანსდება მშენებელთა ხარჯზე, რკინიგზის გაყვანის შემთხვევაში კი გათვალისწინებულია არქეოლოგებს გამოეყოთ 3,5 მილიონი მანეთი. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ცივილიზაციის მკაცრი ხელი არ შეეხოს ისტორიული წარსულის სათუთ რელიკვიებს.

როგორლა წარიმართება პოეტ… თა მიერ ხოტბაშესხმული … ვის ხეობის ბედი, შევძლებ… არა მშენებლობის საკითხის …ებითად გადაწყვეტის შემთ…ში დავიცვათ მისი ხელუ… ბუნება, და რა გარანტიაა, … შევინარჩუნებთ არაგვის — … ნიშვნელოვანესი წყლის არ…ის — სიწმინდეს, რომელიც … ლისსა და რუსთავს ს… წყლით უზრუნველყოფს?

სწორი კითხვაა. პასუხი არის, რომ მივაგნოთ გადაწყვეტას, რომელიც გამორიცხავს ამ მხარის ბუნებისათვის ზიანის მიყენებას, უზრუნველყოფს არაგვის ეკოლოგიურ სიწმინდეს. გულდასმით უნდა გამოვიანგარიშოთ ყველა შესაძლო მავნე შედეგი, ისევე როგორც სარგებელი, რომელიც შეიძლება მაგისტრალმა მოგვცეს. როგორც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა თქვეს, უკვე მოქმედი საავტომობილო გზის გაყვანამ შთაბერა ახალი სიცოცხლე ყოველივეს: სოფლებს დაუბრუნდა ხალხი, მათ მუდმივი სამუშაო მიიღეს, გაუმჯობესდა მომარაგება, უფრო კეთილმოწყობილი გახდა ყოფა.

ყოველივე ამაზე მიმდინარეობდა მწვავე სჯა-ბაასი ფართო დისკუსიის დროს არხოტის გვირაბის პორტალთან, რომელიც მხოლოდ მონიშნულია მთების ძირას. შორიახლოს მთავრდება სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა — ისინი ხომ უეჭველ სარგებლობას მოგვიტანენ.

ახლა, როგორც ცნობილია, რკინიგზის მაგისტრალის გაყვანისა და გვირაბის მშენებლობის სამუშაოები შეწყვეტილია. სამშენებლო ქვეგანაყოფების ნაწილი ქვეყნის სხვა რაიონებში გადაიყვანეს. გაჰყავთ საავტომობილო გზები მთის სოფლებში, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი მთიანეთის აღორძინებას.

ამრიგად, კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის მომხრე თუ ურმყოფელ ყველა არგუმენტს აქვს მთავარი საფუძველი — ეს არის ზრუნვა და წუხილი მშობლიური მიწის ხვალინდელი დღისათვის, მისთვის გულისტკივილი. ამიტომაც საჭიროა პატივისცემით მოვეკიდოთ ყოველ აზრს, თუნდაც მცდარს. აქ თავიანთი სიტყვა უნდა თქვან მეცნიერებმა, სპეციალისტებმა, საზოგადოებრიობამ. ასეთია იმ საუბრებისა და კამათის ძირითადი შედეგი, რომლებიც არც ერთი წუთით არ დამცხრალა მოგზაურობის დროს.

პრობლემები, რომლებსაც რკინიგზის პროექტი სვამს, ყველას გვეხება. მეცნიერი-ექსპერტები, ბევრი პროფილის სპეციალისტები ახლა დეტალურად სწავლობენ არგუმენტებსა და საწინააღმდეგო აზრებს, აანალიზებენ წინადადებებსა და კონტრმოსაზრებებს. მათი დასკვნები უახლოეს დღეებში გამოტანილი იქნება ფართო განხილვისათვის. რესპუბლიკისათვის ამ მნიშვნელოვან საქმეში გათვალისწინებული უნდა იყოს ყველაფერი.

საერთო საზრუნავი საერთო ძალებით უნდა გადავწყდეს.

(საქინფორმი).

შეხვედრა ბუნდესრატის თავმჯდომარესთან

11 ივლისს ა. ა. გრომიკომ კრემლში მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესრატის (მხარეთა პალატის) თავმჯდომარე, რაინლანდ-ფფალცის მხარის პრემიერ-მინისტრი ბერნჰარდ ფოგელი. დასავლეთ გერმანიიდან ჩამოსული სტუმარი მმართველი პარტიის — ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელია, და ჩვენს ქვეყანაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით იმყოფება. მეგობრული საუბრის დროს განიხილეს ევროპის უშიშროების ზოგიერთი ძირითადი საკითხი, უწინარეს ყოვლისა ბირთვული და ჩვეულებრივი იარაღის შემცირების პრობლემები, აგრეთვე ორმხრივი ურთიერთობის საკითხები.

ფესტივალი „საოპერო სცენის ოსტატები":

დასკვნითი აკორდები

ქუთაისი, 12 ივლისი (საქინფორმის კორ. მ. კილაძე). ყველაზე ცნობილ იმპრესარიოსაც კი შეშურდებოდა ფესტივალის „საოპერო სცენის ოსტატების" იმ საბოლოო კონცერტის მონაწილეთა შემადგენლობა, რომელიც დღეს გაიმართა ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე. კონცერტში მონაწილეობდნენ ზურაბ სოტკილავა, იური მაზუროკი, ცისანა ტატიშვილი, მედეა ამირანაშვილი, ნოდარ ანდღულაძე, იგორ მოროზოვი, ცნობილი ქართველი მოცეკვავეები იამზე დოლაბერიძე და ვახტანგ გუნაშვილი, მომღერალი ნანი ბრეგვაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტები ანდრია ბალანჩივაძე და ოდისეი დიმიტრიადი. დრამის პოპულარულმა მსახიობმა ალა დემიდოვამ წაიკითხა ანა ახმატოვას „რეკვიემი". მათ ქუთაისელებს ნამდვილი დღესასწაული უჩვენეს...

— მე წინა ფესტივალებშიც ვმონაწილეობდი, მაგრამ ახლანდელი ჩემთვის განსაკუთრებულია, — თქვა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ო. დიმიტრიადიმ, — რადგან იგი ემთხვევა ჩემს მეგობარსა და მასწავლებელს ევგენი მიქელაძეს. იგი უსაზღვროდ ნიჭიერი კაცი იყო და მიუხედავად იმისა, რომ ადრე წავიდა ჩვენგან, დიდი ღვაწლი დასდო მშობლიურ კულტურას, ურომლისოდაც შეუძლებელია წარმოიდგინო საბჭოთა მუსიკალური ხელოვნება. ამის საუკეთესო დასტურია ეს ფესტივალიც.

— მიუხედავად იმისა, რომ ბედმა მე მარგუნა ფესტივალის მონაწილისა და ორგანიზატორის ყველა საზრუნავი (მაყვალა ქასრაშვილმა „მიმატოვა" მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო: საგასტროლოდ გაემგზავრა ინგლისში), უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ ფესტივალი კარგი გამოვიდა, — თქვა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ზურაბ სოტკილავამ. — იგი მრავალჟანროვანი იყო. ოთი საღამო სრულად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან ჟანრით: სიმფონია, ოპერა, ვოკალური, კამერული საღამოები... შესანიშნავი გრაციის ნინო ანანიაშვილის მონაწილეობა — სიტყვები არ მყოფნის — ყოველივე ეს ბრწყინვალედ შეეფერება ფესტივალის სულისკვეთებას. გავაზარა იმანაც, რომ კონცერტებს უამრავი ახალგაზრდა მსმენელი ესწრებოდა. საგრძნობლად ამაღლდა ქუთაისის საოპერო თეატრის დონე, რომელმაც წარმოადგინა ორი საინტერესო სპექტაკლი — „დაისი" და „იოლანტა". ქუთაისელი მომღერლები საოპერო სცენების ცნობილ ოსტატთა ნამდვილი პარტნიორები აღმოჩნდნენ.

რაც შეეხება მომავალ ფესტივალს, მინდა ვიმედოვნებდე, რომ იგი საერთაშორისო გახდება.

ფესტივალის მონაწილეებს მადლობა გადაუხადა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ვ. ასათიანმა.

ფესტივალის დახურვას დაესწრნენ ამხანაგები ჯ. პატიაშვილი, პ. გილაშვილი, ბ. ნიკოლსკი, ნ. ფოფხაძე, ზ. ჩხეიძე, ტ. ლორთქიფანიძე, ვ. სირაძე.

ეს ითქვა XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე

სკკპ XIX კონფერენციაზე მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში ნათქვამია, რომ უფრო სწრაფად უნდა მოხდეს წარმოების საშუალებების გადასვლა საბითუმო ვაჭრობაზე. სწორედ მან უნდა მიანიჭოს მთელ მომმარაგებელ სისტემას ამჟამად ესოდენ საჭირო მოქნილობა. მაგრამ სამეურნეო მუშაკთა უმრავლესობისათვის ცნება „საბითუმო ვაჭრობა" სრულიად ახალია.

...უზრუნველყოფის ამ ფორმის არსსა და მიზნებზე გვესაუბრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ჩხეიძე.

— ახლა, როცა დადგა პრაქტიკული მოქმედების დრო, რისთვისაც მოგვიწოდებს ყველას კონფერენციის რეზოლუციები, იდეებიდან, ექსპერიმენტებიდან დაიწყო გადასვლა მეურნეობრიობის ახალი მეთოდების ფართო დანერგვაზე. ასეთ პირობებში უპირველეს მნიშვნელობას იძენს ბრძოლა პროდუქციის ხარისხისათვის, საუკეთესო მსოფლიო ნიმუშების შესაბამისი დონის მი-

...ყობილობა, ბენზინი, ავტომობილები, ზოგიერთი სხვა დეფიციტური პროდუქცია რაღაცა დროის განმავლობაში ჯერ ისევ ცენტრალიზებული განაწილების სფეროში დარჩება. რაც შეეხება ნედლეულს, ნახევარფაბრიკატებს, მაკომპლექტებელ ნაწარმს, მათმა დამამზადებლებმა ახლა თვითონ უნდა შეისწავლონ მოთხოვნა, შეადგინონ შეკვეთების ნუსხა და გაყიდონ საქონელი.

მაგრამ სოციალისტურ ბაზარს, ისევე როგორც ყოველგვარ სხვა დარგს, ფხიანობა სჭირდება. სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებ-...

...მართვის მთლიანი სისტემის ორგანულ ნაწილად მისი გადაქცევის ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებისათვის.

რესპუბლიკაში საბითუმო ვაჭრობის დანერგვასა და მის პირველ შედეგებზე გვესაუბრება საქართველოს სახმომარაგების თავმჯდომარე ო. ქვილითაია:

— მრავალი წლის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება ჩვენი სახალხო მეურნეობის თითქმის ყველაზე ვიწრო ადგილია. მისი ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ნაკლია მოუქნელობა. ამა თუ იმ რესურსებზე საწარმოს განაცხადიდან მათ მიღებამდე თითქმის 10 თვე გადის. ამას გარდა მკაცრი ფონდირების სისტემა გაუმართლებლად დიდია. საწარმო იძულებულია საქმე ჰქონდეს სხვა-...

...თების შენახვას ხმარდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებელთა პირობების გაუმჯობესებით სახმომარაგება იუარესებს თავის პირობებს. მეურნეობრიობის ახალ პირობებზე სისტემის გადაყვანით ჩვენმა ეკონომიკამ საექვოა გაუძლოს ასეთ დატვირთვას. ამიტომ, ჩემი აზრით, თუ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ახალი სისტემა საზელმწიფო სისტემაა, მისი მარაგი არ უნდა მივიჩნიოთ ზენორმატიულად და მისი რეგლამენტირება არ უნდა დავუქვემდებაროთ საბანკო ბერკეტებს.

ეს პრობლემა მარტო საქართველოს სახმომარაგებისათვის როდია აქტუალური. სხვა რესპუბლიკებიდან მიღებული წინადადებებით იგი ახლა ფართოდ განიხილება საკავშირო დონეზე და, ალბათ, მალე გადაწყდება კიდეც.

[...]

საბითუმო ვაჭრობა

დროის მოთხოვნაა

[...]

...ლორუსიაში, მოლდავეთში, ტაჯიკეთში, ჩვენს რესპუბლიკაში. 1990 წლისათვის ვაჭრობის ამ ფორმაზე იქნება გადაყვანილი ქვეყანაში სარეალიზაციო პროდუქციის 60 პროცენტი. მაგრამ თავდაპირველად ვაჭრობა შერჩევითი იქნება. ტექნოლოგიური მოწ-...

...ციის მოითხოვს. მიმდინარეობს ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგების მართვის რეორგანიზაცია. ერთ-ერთ მათგანს, სახმომარაგებას ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გარდაქმნის, სახალხო მეურნეობის...

...ნი მილიონ ტონაზე მეტი დაიზოგა.

მართალია, ამ პერიოდში ზოგიერთი არასასურველი მოვლენაც გამოიკვეთა. ავიღოთ, თუნდაც, იგივე სახსრების გამოთავისუფლების პრობლემა, რომლებიც წინათ ზენორმატიული ნამ-...

...საბითუმო ვაჭრობა ამ პრობლემის გადასაჭრელად გამიზნული მძლავრი ბერკეტია.

საუბარი ჩაიწერა
ა. კოკაიამ,
საქინფორმის კორ.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

მტკიცდება პირდაპირი კავშირურთიერთობა

საქართველოს და ბულგარეთის საქმიანი თანამშრომლობის ახალი ეტაპი გახდა თბილისში ბულგარელ დიზაინერთა სალონების გახსნა, რომელშიც მონაწილეობდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია მინისტრის — „ინდუსტრია ადამიანებისათვის" ასოციაციის თავმჯდომარე ე. ზლატევა.

11 ივლისს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. მელქაძემ.

საუბრის დროს კმაყოფილება გამოითქვა საქართველოს სს რესპუბლიკასა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას შორის პირდაპირი კავშირურთიერთობის აქტი-...

...ვილისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ო. ჩერქეზიას ახლახან თბილისში გამართულ მოლაპარაკებას ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან გ. ათანასოვთან, რომლის დროს გამოითქვა მისწრაფება კვლავაც განავითარონ საქართველოს და ბულგარეთის კონტაქტები და თანამშრომლობა ეკონომიკისა და კულტურის სხვადასხვა დარგში.

12 ივლისს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია სოფიაში გაფრინდა.

▼ ▼

სანარდო იჯარა დაეხმარა...

...**ქუთაისის** საგრენაჟე ქარხნის კოლექტივს, რომ შეესრულებინა აბრეშუმის ჭიის გამოკვების მიმდინარე წლის გეგმა და სოციალისტური ვალდებულებანი. წლის დამდეგიდან მიიღეს 20 ტონა საჯიშე აბრეშუმის პარკი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება შარშანდელ მაჩვენებელს.

გეგმა ერთ-ერთმა პირველებმა შეასრულეს ქალაქ წყალტუბოს ზონის — აბრეშუმის პარკის ძი-...

...7 ივლისისათვის წარმატებით შესრულდა წლიური სახელმწიფო გეგმა. დამამზადებელ პუნქტს ჩაბარდა 18300 კილოგრამი აბრეშუმის პარკი — გაცილებით მეტი, ვიდრე შარშან. აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმის შესრულებაში თავი გამოიჩინეს ხრესილის, კურსების, ცუცხვათის, გურნის, ციხიის, საწირის და სხვა კოლმეურნეობებმა.

აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება. აქაურმა მეაბრეშუმეებმა წელს 20 ათასი კილოგრამი პარკის დამზადება ივალდებულეს.

▼ ▼

დროს გაუსწრეს

ონი. სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც მონდომებით იბრძვის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებუ-...

[...]

ტყიბულელ...

[...]

ფაბრიკის საამქროებს შორის გამართულ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა № 2 საამქრომ. ფაბრიკაში ბევრმა მკერავმა დიდად გაუსწრო დროს. სკკპ XXVII ყრილობის დელეგატმა ლიზა ნატროშვილმა რთხი წლის პირადი ნორმა შეასრულა. გულნაზი ფირცხალაშვილის, ბაბუცა გაგნიძის და მარიკა ლობჟანიძის პირად ბარათზე სამნახევარი წლის გეგმის შესრულების მაჩვენებელი ჩაიწერა. კერვის დავალების შესრულებაში თავი ისახელეს მრეწველობის დამსახურებულმა მუშაკებმა ნ. მაგრაქველიძემ, გ. გობეჯიშვილმა, ზ. მაისურაძემ, მ. გობეჯიშვილმა, მ. მაისურაძემ, თ. ბერელიძემ და სხვებმა.

ფაბრიკის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს ახალ წარმატებას მიაღწიოს პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმის შესრულებაში.

▼ ▼

ახალმოსახლეობას გილოცავთ!

ბინის ორდერი მიიღო კასპის რაიონის კოდისწყაროს მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის ახალ-...

[...]

არბოშიკელთა მამითადი

შრომის ცხარე დღეებია ახლა წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში! — მკიან ყანებს, ამზადებენ პირუტყვის საკვებს, არც ბაღვენახებს აკლებენ მოვლა-პატრონობას. დიდი და პატარა შრომის ფერხულშია ჩაბმული, მიზანი ერთია, — წარმატებით განახორციელონ სასურსათო პროგრამა, რომლის შესახებაც კიდევ ერთხელ აღინიშნა სკკპ XIX პარტიულ კონფერენციაზე.

უფროსებს მხარში ამოსდგომია მოსწავლე-ახალგაზრდობა და თავისი წვლილი შეაქვს სოფლის საერთო საქმეში. ტარიბანაში „მწარე წყლის" მიდამოებში დაბანაკებულან არბოშიკელი მოსწავლეები. ესენი სკოლის ჭიდაობის სექციის წევრები არიან, მათ ავარჯიშებს კოლმეურნეობის ინჟინერი, სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში (საქართველოს ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „კოლმე-...

...ურნის"...

[...]

ვ. ბენიძე („კომუნისტი")

სოციალური სფერო: უნდა გარდაიქმნას თვით სტატისტიკა

დიდი ამოცანების წინაში დგას სტატისტიკა როგორც „სოციალური შემეცნების ყველაზე მძლავრი იარაღი" გარდაქმნის, დემოკრატიზაციის დაჩქარებისა და საჯაროობის თანამედროვე პირობებში. უძრაობისა და კონსერვატიზმის პერიოდში შეძენილი ავადმყოფური ხენით დამუხტული სტატისტიკა დღესაც გაჰყვირის, რომ 1940 წელთან შედარებით ჩვენს ქვეყანაში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი 1986 წელს გაიზარდა 16,8-ჯერ, ეროვნული შემოსავალი—17,5-ჯერ, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ძირითადი საწარმოო ფონდები 22,9-ჯერ, მრეწველობის პროდუქცია და კაპიტალური დაბანდებანი 26-ჯერ, მოსახლეობის ერთ სულზე რეალური შემოსავლები — 6,6-ჯერ, მათ შორის შემოსავლები მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან 38,7-ჯერ. ეს შეუწყნარებელი ფაქტია, მთლიანად ეწინააღმდეგება გარდაქმნას, სკკპ XIX კონფერენციის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე დებულებებს, მითითებებსა და დასკვნებს.

როგორ არის საქმე სინამდვილეში? თურმე ამ ხნის მანძილზე ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქციისა და ეროვნული შემოსავლის თითოეულ მანეთზე დიდად შემცირდა სახმარი ღირებულების მატარებელი პროდუ-...

...დეგობის გამოვლენის მკაფიო მაგალითი. პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ სტატისტიკურ მაჩვენებელთა არსებული სისტემის მიხედვით გამოდის, რომ რაც მეტია კაპიტალური დაბანდების „ათვისების" მაჩვენებელი, მით...

...ნისაგან და არა მარტო ასახოს გარდაქმნის რეალური სურათი, არამედ თვით გარდაქმნას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

მისი გარდაქმნის სფეროები კი მრავალია. ავიღოთ, მაგალითად, ცხოვრების დონის შემსწავლელი სტატისტიკა. ასეთ დელიკატური საკითხების შესწავლისადმი სტატისტიკამ განსაკუთრებით უნდა გამოიმუშაოს ზუსტი მაჩვენებლების სისტემა და რეალურად ასახოს საშუალო ხელფასის, ოჯახის ბიუჯეტის, საცალო ფასების, საზოგადოებრივი ფონდებიდან უფასო შემოსავლების დონე, სტრუქტურა, დინამიკა, სხვა მოვლენებთან ურთიერთკავშირი და მოქმედი ფაქტორების გავლენა. ძნელია დააჯერო დღეს მუშა-მოსამსახურეები და კოლმეურნეები იმაში, რომ რადგან საშუალო თვიური ხელფასი მოხმარების სა-...

...სერიოზულ გარდაქმნას მოითხოვს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების სტატისტიკაც. მარტო საშუალო მაჩვენებლებით მსჯელობა სრულიადაც ვერ აკმაყოფილებს საბჭოთა მოქალაქეებს. მათ აინტერესებთ არა მარტო ის, რომ ჩვენს ქვეყანაში 1960 წელთან შედარებით მოსახლეობის საშუალო შემოსავლები მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან 1970 წელს გაიზარდა 2,3-ჯერ, 1980 წელს 4,3-ჯერ, 1986 წელს 5,6-ჯერ, არამედ უფრო მეტად მათი განაწილება საზოგადოების ფენებისა და ჯგუფების მიხედვით, მოქმედი სტატისტიკის გაანგარიშებით უფასო მომსახურების ხვედრითი წილი მოხმარების საზოგადოებრივ ფონდებში საკმაოდ დიდია. მაგალითად, 1986 წელს მთლიანად მოსახლეობის შემოსა-...

...შეწონილად მიგვაჩნია მოსახლეობის უფასო შემოსავლების ხვედრითი წილის მიხედვით გაანგარიშების მოსახლეობის რეალური შემოსავლები და გადავიდეთ ფასიან მომსახურებაზე. ეს აღმოფხვრის ზედმეტი პროდუქტის არათანაბარ განაწილებას საზოგადოების წევრთა შორის და განამტკიცებს შრომის მიხედვით განაწილების პრინციპს.

ცხოვრების დონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი მაჩვენებელია საცალო ფასებისა და მომსახურების ტარიფების დონე, სტრუქტურა, დინამიკა და სხვა მოვლენებთან ურთიერთკავშირი. ამ მაჩვენებელთა სტატისტიკაც რადიკალურ გარდაქმნას მოითხოვს. მით უმეტეს, რომ საცალო ფასებისა და მომსახურების ტარიფების თანამედროვე სისტემა ჩვენი ეკონომიკის მრუდე სარკეა...

...ეკონომიკაში მიმდინარე პარადოქსული მოვლენები. თუ, მაგალითად, იზრდება დაბალ ფასიანი ნაწარმის გამოშვებისა და რეალიზაციის ხვედრითი წილი, შემცირდება საშუალო ფასი და ფასების ინდექსი, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული სახეობის საქონელზე ფასები კი არ მცირდება, არამედ შეიძლება კიდეც გაიზარდოს.

სტატისტიკამ უნდა აღმოფხვრას პარადოქსები ფასების ინდექსების გაანგარიშების მეთოდოლოგიაში და ისეთნაირად გარდაქმნას ის, რომ მასში აისახოს საქონლის სამომხმარებლო თვისებებისა და ხალხის ცხოვრების დონის ცვალებადობის ნათელი სურათი.

ცხოვრების დონეზე გარკვეულ გავლენას ახდენს აგრეთვე ფასების ურთიერთგანპირობებულობა...

[...]

ციფრების კორიანტელში

[...]

ზ. გაბიძაშვილი,
...

სოფლის მეურნეობა: მეცხოველეობა

პირველი მიჯნა გავლილია

რესპუბლიკის მეურნეობები შეუდგნენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის დამზადების წლის მეორე ნახევრის დავალებათა რეალიზაციას. მაგრამ როგორ დამთავრდა პირველი ნახევარი? საქართველოს სსრ სახსტატკომი გვატყობინებს: სახელმწიფოსათვის პირუტყვისა და ფრინველის მიყიდვის შეკვეთა შეასრულეს რესპუბლიკის 40 რაიონის მეურნეობებმა. კარგად იშრომეს დუშეთის, ყაზბეგის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, მაიაკოვსკის, აბაშის, ქარელის რაიონებისა და აჭარის ასსრ მშრომელებმა. ამავე დროს ლანჩხუთის, საჩხერის, წულუკიძის, ორჯონიკიძის რაიონების მეურნეობებმა შარშანდელთან შედარებით შეამცირეს სახელმწიფოსათვის პირუტყვისა და ფრინველის მიყიდ-...

...მეურნეობამ შეამცირა სახელმწიფოსათვის პირუტყვისა და ფრინველის მიყიდვა 2373 ტონის მოცულობით.

რძის მიყიდვის წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო შეკვეთა შეასრულეს რესპუბლიკის 43 რაიონის მეურნეობებმა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გეგეჭკორის, წალენჯიხის, აბაშისა და მაიაკოვსკის რაიონებმა, აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ.

ამასთანავე დუშეთის რაიონის მეურნეობებმა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 320 ტონით შეამცირეს რძის მიყიდვა, სიღნაღის — 40 ტონით, თერჯოლის — 39, ორჯონიკიძის — 35 ტონით. შეკვეთის შესრულება ჩაშალეს რესპუბლიკის 13 რაიონის მეურნეობებმა...

[...]

(საქინფორმი).

სანაი — გეგმის გადამეტებით

[...]

კავკასიონის საუღელტეხილო: ექსპერტიზა დაიწყო

კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის ჩრდილოეთის მონაკვეთის მშენებლობის პროექტის ექსპერტიზას რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით შეუდგნენ სახმშენის, სხვა რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების სპეციალისტები, ჩრდილოეთ ოსეთისა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარმომადგენლები. განაცხადა რა ეს, ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების უფროსმა ს. ე. სახაროვმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალ მუშაობას. დამპროექტებელთა გეგმების განხორციელება ხომ ეხება ჩრდილოეთ კავკასიის ბუნების, ხალხთა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის ინტერესებს. ამავე დროს, არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ ქვეყნის ვრცელი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესებიც.

მთელი წლის მანძილზე რუსეთის ფედერაციიდან ამიერკავკასიაში და პირიქით საიმედო ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის აუცილებლობა ცხოვრებამ დაამტკიცა. როგორც ცნობილია, ძირითადი სატვირთო და მგზავრთნაკადი ახლა მოდის შემოსავლელ გზებზე, შავი და კასპიის ზღვების სანაპიროების გავლით. მთავარი კავკასიონის ქედი ზამთრის პერიოდში დაუძლეველი იქნება, თუ არ განხორციელდა საქართველოს სამხედრო გზისა და ტრანსკავკასიის საავტომობილო მაგისტრალების მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ობიექტების, მათ შორის, ისეთი ძვირადღირებული ობიექტების მშენებლობა, როგორიცაა როკის საუღელტეხილო გვირაბი და მრავალი ზვავსაწინააღმდეგო მოწყობილობა როკის უღელტეხილის მისადგომებზე. ამავე დროს, ეს პერსპექტიული ღონისძიებანიც ვერ შეძლებენ პრობლემის გადაჭრას, მაშასადამე, კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზა საჭიროა. მაგრამ საჭიროა ისეთი რკინიგზა, რომელიც არავითარ ზიანს არ მოგვაყენებს, ხელს შეუწყობს მთელი კავკასიის მატერიალური და სულიერი სიმდიდრეების გამრავლებას.

ექსპერტებმა, რომელთა შორის არიან ეკონომისტები და ისტორიკოსები, არქიტექტორები და სოციოლოგები, ბუნების დაცვისა და სხვა ორგანოების მუშაკები, უნდა შეაფასონ რკინიგზის პროექტი ყოველმხრივ, მიიღონ იმის ზომები, რომ კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზა თავად გახდეს ჩვენი დროის მატერიალური კულტურის ძეგლი.

ვ. ბოგდანოვი.

გაზეთი „სოციალისტიჩესკაია ოსეტია“, 1988 წლის 7 ივლისი.

პოლემიკა

„არს უმჯავესი წმახისა“

გაზეთი „კომუნისტი“ რომ დიდ ადგილს უთმობს ქართული ენის, ლიტერატურისა და, საერთოდ, ეროვნული კულტურის საკითხებს, ამას მარტო დროის ქროლვას ნუ მივაწერთ; ჩვენს საზოგადოებაში მუდამაც არსებობდა შინაგანი მოთხოვნილება — რესპუბლიკის მთავარ გაზეთს უფრო ვრცლად და ღრმად გაეშუქებინა სატკივრიანი ეროვნული საკითხები, მით უფრო, რომ ამას დიდ სამოციანელთა ტრადიციაც უმაგრებდა ზურგს. ახალი დროების სასიკეთო ნიშნად კი უფრო ის გვიჩანს, რომ „კომუნისტი“ აღარ ერიდება განსხვავებული თვალსაზრისების ბეჭდვას. მავანთა ეჭვს — ამით გაზეთი ოფიციოზისათვის ნიშანდობლივ უმაღლესი არბიტრის ფუნქციას დაკარგავსო, პლურალიზმის ეპოქაში ყავლი გაუდის.

ახლა საგანგაშო ტენდენციაზეც მოგახსენებთ, ბოლო ხანს რომ იჩინა თავი ჩვენს პრესაში: გახშირდა წერა იმაზე, რაშიც ნაკლებად ან სულაც ვერ ვერკვევით. ზოგჯერ თავსაც ვიწონებთ — მე ამ საქმის სპეციალისტი არ გახლავართ, ამ პრობლემაზე არასოდეს მიმუშავიაო..... თავმდაბლობაა ვითომ? არ დაიჯეროთ! გულახდილობით ამ „აქტუალობის“ მიღმა მკითხველმა, ალბათ, უნდა ამოიკითხოს — ჩემთვის შორეულ საკითხებში რომ ასე დიდებულად ვერკვევი, ახლობელში რაღა იქნებაო.

ცხადია, საზოგადოებრივად საინტერესო საკითხებზე ყველას აქვს უფლება თავისი მოსაზრება გამოთქვას, მათ შორის — არასპეციალისტსაც. გამოუთქვამთ კიდეც... ზოგჯერ — ანგარიშგასაწევიც... მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მომხდარა, როცა საკითხი საგულდაგულოდ შეუსწავლიათ. თანაც, გასაგები მიზეზების გამო, არასპეციალისტის მსჯელობა სპეციალურ საკითხებზე მოკრძალებულ ტონსაც გულისხმობს.

სამწუხაროდ, ეს ორივე ნიშანი აკლია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **ა. ნიკოლეიშვილის** წერილს „ახალ შეცდომათა თავიდან ასაცილებლად“ (გაზეთი „კომუნისტი“, 1988 წ. 12 ივნისი). მართალია, მკითხველებს გვიბოდიშებენ — „მე არც ტექსტოლოგი ვარ და არც რუსთველოლოგიო“, მაგრამ ასეთი განცხადება ვერაფერი შეღავათია იმისთვის, ვინც კისრულობს თავისი მოსაზრებანი გაგვიზიაროს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საკითხებზე. მე კი ამ აღიარებამ, ცოტა არ იყოს, მიშეღავათა — თუ პოემის ტექსტის დადგენის **კრიტიკას** არ სდომია არც რუსთველოლოგობა და არც ტექსტოლოგობა, ეს ყველაფერი კიდევ უფრო ნაკლებად მომეთხოვება ჩემი მოკრძალებული მიზნისთვის — გავაბათილო კრიტიკის სამოსლით შებურული უსაფუძვლო ბრალდებანი.

ზემოხსენებული პუბლიკაციით ა. ნიკოლეიშვილს მიზნად დაუსახავს დროულად შეხმიანებოდა ალმანახ „კრიტიკის“ (1983 წ. № 2) მიერ დარისხებულ განგაშის ზარს — **„როგორ ვპატრონობთ მარგალიტს?“** ვის იხმობდა ზარი? — ყოველ ჩვენგანს; რისკენ მოგვიწოდებდა? — [illegible]ხიზლისაკენ, ვინაიდან უკვე[illegible] ძალებს მარგალიტის ნაცვლად ჩვენთვის თვლითით ანუ ყალბი თვლის შემოპარება განუზრახავთ. ალმანახი გვაუწყებდა, რომ ჩვენი გამომცემლობები **ბოლო წლებში გართულან (!) „ვეფხისტყაოსნის“ დამახინჯებული ტექსტის წამდაუწუმ (!) ბეჭდვით; ამაში, თურმე, ბრალი მიუძღვის ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიას, რომელსაც თავისი ავტორიტეტით დაუთრგუნავს გამომცემლობები და არ მიუცია იმის საშუალება, კომისიის მიერ დადგენილი ტექსტი მათ ჩაესწორებინათ (!).**

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიას ალმანახმა „კრიტიკამ“ ბევრი სხვა ცოდვაც აჰკიდა: **„აკადემიკოსური ამბიციები“, „ვეფხისტყაოსნის“ სპეციალისტობის დაჩემება“, „პროფესორის ლუპით მისი „ჩხრეკა“**, უვიცობა, სიყრუე, სიბრმავე და, თქვენ წარმოიდგინეთ, სიშლეგეც კი („განა შეიძლებოდა ასე თამამად, აზირებული სურვილით მისვლა რუსთაველთან, რაკი ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი ვარ, უსათუოდ რაღაც ცვლილება უნდა შევიტანოო?“ — „კრიტიკა“, 1988 წ. № 2, გვ. 9). კომისიას, თურმე ნუ იტყვით, იმის საპირისპირო საქმე უქეთებია, რისთვისაც შეიქმნა: ნაცვლად იმისა, რომ ტექსტი ნაყალბევი ადგილებისაგან გამოეხშირა და გადამწერთა შეცდომებისაგან გაეწმინდა — მოკლედ, დაედგინა პოემის კანონიკური ტექსტი — „ტლანქი ხელითა და ტლანქი გონებით“ შეურყვნია და დაუმახინჯებია იგი. მოკლედ, „კრიტიკას“ თუ ვერწმუნებით, შეცდომა ცოტაა — ამას დანაშაულის სუნი უდის, დამნაშავენი კი უნდა დაისაჯონ... ჩაქოლვა მათთვის ნამეტანია, მაგრამ არც მთლად ნიშანდაუდებლად გაშვება იქნებოდა სწორი... ამიტომაც — მათრახი და მისი ჯანი! („ამ წერილს რომ ვწერდი, გამახსენდა რუსთაველის საოცრად ფერწერული სტრიქონი: „მისნი მკვახედ მოუბარნი მათრახითა შეგვამწიფნა“. როგორც ჩანს, ტექსტის დამდგენი კომისიის წევრებს ეს სტრიქონი არც ერთხელ არ გახსენებიათ“ — იქვე, გვ. 9).

აი, ამ პათოსით შეგონებულ პუბლიკაციებს ახსამს ხოტბას პროფესორი ა. ნიკოლეიშვილი.. როგორც იტყვიან, კაცია და გუნებაო, ზოგს მღვდელი მოსწონს და ზოგსაც — მღვდლის ცოლი... მაგრამ მოწონება ერთია და ამ ხოტბით მკითხველის ცდუნება — მეორე. ერთია, როცა ამგვარი სენსაციური მასალა იბეჭდება ათიათასტირაჟიან სამეცნიერო ორგანოში, და სხვაა, როცა ეს ინფორმაცია ასიათასობით ტირაჟის მქონე რესპუბლიკის უმთავრესი გაზეთის საშუალებით მოეფინება ქვეყანას. ამიტომაც ჩავთვალე თავი ვალდებულად ამავე გაზეთის საშუალებით მეცადა ამ უსაფუძვლო ბრალდებათა გაბათილება.

ჯერ ეს ვიკითხოთ — რა გვამცნო ახალი პროფესორ ა. ნიკოლეიშვილის სტატიამ? — არაფერი. მხოლოდ გაიმეორა ის, რაც უკვე გვაუწყა ალმანახმა „კრიტიკამ“: რომ ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენმა კომისიამ არათუ თავი ვერ გაართვა თავის ამოცანას, დაუმახინჯებია და გაუყალბებია კიდეც ტექსტი. კომისიას, თურმე, დაუშვია **„მიუტევებელი შეცდომები“**, რომ **„ტექსტის გაუმართლებელი ხელყოფისა და შეცვლა-დამახინჯების მრავალსაუკუნოვანი პროცესი დღესაც გრძელდება“**, რომ **„აგერ ჩვენს თვალწინ კვლავ ჩნდება საფრთხე ვეფხისტყაოსნის ახლებურად შერყვნილი ტექსტის დაკანონებისა, რაც მიუტევებელი დანაშაულია ერის წარსულისა და მომავლის წინაშე“...**

და რაც, ეტყობა, არანაკლებ მნიშვნელოვანია, მკითხველს ეუწყა: ალმანახ „კრიტიკის“ რედაქციას საშვილიშვილო საქმე გაუკეთებია, რომ უმხილებია ტექსტის დამდგენი კომისია — და ეს მომხდარა (როგორც სათაურშია აღნიშნული) **„ახალ შეცდომათა თავიდან ასაცილებლად“.**

ამრიგად, პროფესორ ა. ნიკოლეიშვილს თავის სტატიაში კომისიის „ავნაქნარობის“ არც ახალი მაგალითები მოუყვანია და არც „კრიტიკაში“ მოხმობილი მაგალითები გაუმაგრებია რაიმე ახალი არგუმენტით... კეთილი და პატიოსანი, მაგრამ თუნდაც საერთო შეფასება ხომ რაღაცად მაინც ღირსო, იფიქრებს მკითხველი... ცხადია, ეღირებოდა, ეს შეფასება რომ გამოეთქვა რომელიმე ავტორიტეტს რუსთველოლოგიაში, ა. ნიკოლეიშვილი კი თავად აღიარებს: „მე არც ტექსტოლოგი ვარ და არც რუსთველოლოგიო...“

ზემოთ მოგახსენეთ, არავინ მოითხოვს, რომ „ვეფხისტყაოსანზე“ მხოლოდ „ნაფიცმა“ რუსთველოლოგებმა წერონ. მთავარია წერის ნაყოფი. სწორედ ამ „ნაყოფისაგან იცნობა“ ავტორის კომპეტენტურობაც და ბევრი სხვა რამაც... სამწუხაროდ, პროფ. ა. ნიკოლეიშვილმა და „კრიტიკის“ ზოგიერთმა ავტორმა რომ თავიანთი რუსთველოლოგიური ღვწის ნაყოფი შემოგვთავაზეს, ის, შოთასი არ იყოს, „არს უმჯაესი წმახისა“.

ყოველივე ზემოთქმული რომ ლიტონ განცხადებად არ დარჩეს, „კრიტიკის“ პუბლიკაციებზეც უნდა ითქვას ორიოდ სიტყვა. ისინი, რაღა თქმა უნდა, არც ერთნაირი მეცნიერული დონისა არიან და, ეტყობა, არც ერთი და იმავე მიზანდასახულობისა. პროფესორ **ლევან მენაბდის** სტატიაში, მაგალითად, კორექტულად არის წარმოჩენილი რუსთველოლოგიის ერთი სადავო პრობლემა — შევიტანოთ თუ არა „ინდო-ხატაელთა“ ამბავი აკადემიურ გამოცემაში; ასევე — ჩემთვისაც და, ალბათ, ყველასათვის გასაზიარებელი ჩანს **თენგიზ ჩხაიძის** გულისტკივილი — ჩანართად არ უნდა მიგვეჩნია და არ უნდა შევლეოდით რუსთაველის „ნაჭედ“ სტრიქონებს: „კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე“ და ა. შ. ოღონდ, აქვე ვიტყვი — ავტორს მკითხველისთვის აუცილებლად უნდა ეცნობებინა, რომ აქ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია არაფერ შუაშია: 1970 წლის გამოცემის ტექსტი დაადგინა ბატონმა პავლე ინგოროყვამ და, ცხადია, ამოღებულ სტროფზე (სხვათა შორის, არა მარტო ზემომოტანილზე!) კომისია პასუხისმგებელი ვერ იქნება. რაც შეეხება პროფესორ **ალექსანდრე ღლონტის** სტატიას — „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის დასაცავად“ — აქ, ჩემი აზრით, ავტორის მტკიცებაში ზოგი რამ სადავოა: მაგალითად, საანალიზო სტროფის მესამე ტაეპი, რომელიც გვიჩვენებს, თუ საიდან „მოვიდიან“ მომღერალი ავთანდილის „შესამკობლად“ — **„ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მაღრიბელნი“**, კომისიის მიერ ენობრივად გაუმართავად მიიჩნევა...ასეც არის, **და კავშირი** აქ მართლაც შეუფერებლად გაფორმებულ სიტყვებს აკავშირებს; თანამედროვე მეტყველებაზე რომ გადმოვიტანოთ, დაახლოებით ასე — „ავთანდილის შესამკობად მოდიოდნენ ინდოეთ-არაბეთ-საბერძნეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლელები“... პროფესორი ალ. ღლონტი ამ უხერხულობას ასე აღწევს თავს: „აქ **და** კავშირი ჩანს გადაადგილებული. უნდა გვქონდეს არა „მაშრიყით და მაღრიბელნი“, არამედ „და მაშრიყით მაღრიბელნი“ იმის შესატყვისად, როგორც სტროფის ბოლო ტაეპში გვაქვს „და მისრეთით მეგვიპტელნი“ (გვ. 19).

პატივცემული პროფესორის არგუმენტაციაც და ანალოგიაც ამ შემთხვევაში დამაჯერებლად ვერ გამოიყურება: „და მისრეთით მეგვიპტელნი“ — აქ ფორმა შინაარსთან სრულ შესატყვისობაშია: „მისრეთს“ ეგვიპტეს ეძახდნენ და ეგვიპტიდან, ცხადია, ეგვიპტელები მოვიდოდნენ; „და მაშრიყით მაღრიბელნი“ კი შინაარსობრივად შეუსაბამოა — **აღმოსავლეთიდან დასავლელები მოდიოდნენო.** ასეთ უცნაურობას კი რუსთაველი ვერ იტყოდა.

რაც შეეხება ალმანახ „კრიტიკის“ სარედაქციო წერილსა და დანარჩენ ორ სტატიას (ავტორები — **რევაზ მიშველაძე** და **თამარ დაუშვილი**), მათში მოხმობილი მაგალითები, რომლებსაც უნდა ეჩვენებინა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მეცნიერული უმწეობაც და კადნიერებაც („რა კადნიერებაა, რა უსაბუთო სითამამე!“ გვ. 9), ჩემი აზრით, ბუმერანგად უბრუნდებათ ავტორებს... თუ საჭირო გახდა, ამის დამადასტურებელ წერილს თვითონ „კრიტიკის“ რედაქციას ვაახლებ. წინასწარ კი ვიტყვი: ამ მაგალითთაგან ზოგის ანალიზი იმდენად კურიოზულია (მაგ. **ანტენახთან, ხამ ზეცახა** და **მკლავთან** დაკავშირებით), რომ სერიოზულ მეცნიერულ გამოცემაში ამაზე კამათი უხერხულიც მგონია. მაგრამ ერთი რამ მაინც ამთავითვე უნდა ითქვას: სარედაქციო წერილსა და თვით რედაქტორის, პროფესორ **რევაზ მიშველაძის** სტატიაში მკაფიოდ იკვეთება ერთი აზრი: „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენა მონოპოლიურად თავს უდვიათ მეცნიერებს; უფრო კონკრეტულად — „პროფესორის ლუპით აღჭურვილ“ ფილოლოგებს; კიდევ უფრო კონკრეტულად — პოეზიისათვის სმენადახშულ გრამატიკოსებს. შედეგიც, ავტორის აზრით, სავალალოა.

რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით? ჯერ ერთი, რატომ გვიქცევია ფილოლოგობა და გრამატიკოსობა სალანძღავ სიტყვებად? შესაძლებელია კაცს გრამატიკის სასკოლო სახელმძღვანელო არ მოსწონდეს ან ქართული ენის გრამატიკამ ჩათვლა-გამოცდების დროს ვინმეს თავი ავად დაახსომოს, მაგრამ თვითონ გრამატიკის მეცნიერება ან გრამატიკის სპეციალისტები რა შუაში არიან? პოეტურ ნიჭს რატომ ვუპირისპირებთ ფილოლოგიურ უნარს? „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დასადგენად, ცხადია, მარტო გრამატიკოსობა არ კმარა, მაგრამ გრამატიკული ცოდნის გარკვეული დონე რომ აუცილებელია, ეს, ვგონებ, სადავო არ უნდა იყოს; ისევე, როგორც არც მხოლოდ მწერლური ნიჭია საკმარისი რუსთველისეული ფორმების დასადგენ-აღსადგენად. არ ვდავობ, მწერალს ყველაზე მეტად აქვს გამახვილებული ენობრივი ალღო, რომელიც პოეტური ტექსტის დადგენის დროს, მართლაც რომ, სანუკველია, მაგრამ ვინ დაამტკიცა, თითქოს ეს ნიჭი ფილოლოგებს ან თუნდაც გრამატიკოსებს სკალპელით ჰქონდეთ ამოკვეთილი? ბატონ რევაზ მიშველაძეს, მწერალსა და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, წესით, ასეთი ჩინური კედლით არ უნდა გაემიჯნა ერთმანეთისაგან მხატვრული და მეცნიერული უნარები. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს ადგენდნენ ფილოლოგი აკაკი შანიძეც და პოეტი კონსტანტინე ჭიჭინაძეც, და მათმა შრომამ იმიტომაც გამოიღო კეთილი ნაყოფი, რომ მათგან პირველი პოეტური ნიჭითაც იყო ცხებული, მეორეს კი სოლიდური ფილოლოგიური განათლება ჰქონდა მიღებული. გრამატიკის ყბადაღებას კი რა შედეგიც მოაქვს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კვლევისას, ეს თვალნათლივ გამოჩნდა სწორედ ზემოდასახელებულ წერილებში. მაგალითად, რუსთველის ეპოქის ქართულისათვის კანონიკური ფორმა „გონიერთა მწვრთელი უყვარს“ რევაზ მიშველაძეს რიცხვში შეთანხმების დარღვევად მიაჩნია (იხ. „კრიტიკა“, 1988, № 2, გვ. 8). უკვე პირველ კურსზე კი პატივცემული მწერლისა და პროფესორის მიერ გაქილიკებული გრამატიკის სპეციალისტები სტუდენტ-ფილოლოგებს ამეორებინებენ იმას, რაც მათ ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში უნდა სცოდნოდათ — ყოველ შემთხვევაში, „ვეფხისტყაოსნის“ სწავლებისას უნდა შეეთვისებინათ: **„რუსთველისდროინდელ ქართულში მიცემითში დასმული სახელი ზმნას რიცხვში ვერ ითანხმებს... ისეთი ფორმები, როგორიცაა „უნდათ“, „უთქვამთ“ რუსთველისდროინდელ ქართულში არ არსებობს“** („ვეფხისტყაოსანი“, სასკოლო გამოცემა, 1986 წ. გვ. 6). გრამატიკის სპეციალისტებს სხვაგანაც სტყორცნის ირონიულ ისრებს პროფ. რ. მიშველაძე: **„თუ პოეზიის (უფრო რთულ) კანონებს ხშირად უგულებელჰყოფენ** (ასეა! — თ. ქ.), **გრამატიკის ელემენტარული კანონი მაინც რაღად დაივიწყეს გ რ ა მ ა ტ ი კ ი ს ასე კარგად მცოდნე გამსწორებლებმა? რანაირი ქართულია „რაც არა“?**

თავისთავად, „რაც არა“ ჩინებული ქართულია, და იგი არც რუსთაველს დაუწუნია: **„რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“**... რაც შეეხება შესიტყვებას „რაც არა — დაკარგულია“, ამაზეც არსებობს რუსთველოლოგთა დაკვირვებანი და, კრიტიკული ლაშქრობის დაწყებამდე რომ ზოგჯერ მათ ნაშრომებშიც ჩაგვეხედა, ურიგო არ იქნებოდა (იხ. მაგ. **ვუკოლ ბერიძის** „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარი“, თბ., 1974 წ. გვ. 51). მთავარი უბედურება ის გახლავთ, რომ ზემოდასახელებული წერილების ავტორებმა ან არ იციან, ან მკითხველს უმალავენ, რომ მათ მიერ დაწუნებული ყოველი წაკითხვა ტექსტისა ეფუძნება არა ვინმეს, უკაცრაული პასუხია, ხუშტურს, არამედ მრავალ ფაქტორთა შეპირისპირება-შეჯერებას. მათგან ერთ-ერთი უმთავრესი გახლავთ პოემის ხელნაწერთა მონაცემები. თუ როგორ დგება პოემის აკადემიური ტექსტი, ამის შესახებ ჩემზე უკეთ თვით ამ კომისიის წევრებს შეუძლიათ მოუთხრონ მკითხველებს, მე კი ამჯერად ერთი მოკლე ინფორმაციით შემოვიფარგლები: 1974 წლიდან მოკიდებული, ჟურნალ „მაცნეში“ (ენისა და ლიტერატურის სერია) სისტემატურად იბეჭდება „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის სხდომათა ოქმები. ამ მასალიდან ჩანს, თუ როგორ იქმნება პოემის თითოეული სტროფისათვის მთელი „საქმე“ — ტექსტის პროექტი, მისი ვარიანტები ხელნაწერთა თუ გამოცემათა მიხედვით, არსებული სამეცნიერო ლიტერატურა ამ სტროფზე, სტროფის ცალკეულ სიტყვათა თუ ფორმათა ქრონოლოგიური და არეალური „განფენილობა“, თანამედროვე ქართულზე გადმოთარგმანებული შინაარსი სტროფისა... მთავარი რედაქცია (მთავარი რედაქტორი 1973 წლამდე — **გიორგი წერეთელი**, 1973 წლიდან — **ალექსანდრე ბარამიძე**; რედაქციის შემადგენლობა: **ირაკლი აბაშიძე, ივანე გიგინეიშვილი, შოთა ძიძიგური, ხარგის ცაიშვილი, ელენე მეტრეველი, ცოტნე კიკვიძე, გურამ კარტოზია**) თავის ყოველ სხდომაზე განიხილავდა ამ მასალას და საკმაოდ ცხარე განსჯა-კამათის შემდეგ ამტკიცებდა აკადემიური გამოცემისათვის თითოეულ სტროფს. „კრიტიკა“ კი ისე იწყებს (მის წინათქმას თუ ვერწმუნებით) **„ვეფხისტყაოსნის“ საბოლოო ტექსტის დადგენისთვის შემწეობის აღმოჩენის სურვილით საუბარს რუსთველოლოგიურ პრობლემაზე**, რომ წარმოდგენაც არა აქვს „მაცნეს“ ზემოდასახელებულ პუბლიკაციებზე. ხოლო თუ ეს იცის და მკითხველს უმალავს, მით უარესი რედაქციისთვის.

ტექსტის დადგენისას „აკადემიკოსური ამბიციები“ და „ფილოლოგ-პროფესორის ლუპა“ განზე უნდა გადავდოთ და გზა შემოქმედის ნიჭით ცხებულ მოყვარულებს უნდა დავუთმოთო — ალალად რომ ვთქვათ, ეს აზრი იკითხება „კრიტიკის“ სარედაქციო წერილიდან და ზემოდასახელებული სტატიებიდანაც. მაგრამ, იღბალი არ გინდა! პოლემიკურ სიცხარეში სწორედ ენობრივმა ალღომ, ტექსტის პოეტურად წვდომის უნარმა უმტყუნა მეცნიერებსა და გრამატიკაზე მოქირქილე ჩვენს შემოქმედ ავტორებს. სხვანაირად როგორ ავხსნათ, რომ პოეტი თამარ დაუშვილი სიტყვას „თავწაკვეთილი“ აღიქვამს როგორც „თავგაჩეჩქვილი“, ან — კიდევ უარესი — დიმიტრი ყიფიანს ურევს მეფე დიმიტრი თავდადებულში („საქართველოსთვის **თავწაკვეთილ** დიმიტრი ყიფიანს...“, გვ. 24), ხოლო თბილისში რუსთაველის **სახლ-მუზეუმის** გახსნას მოითხოვს (რუსთაველის **სახლ-მუზეუმი**, ე. ი. მუზეუმად ქცეული სახლი, სადაც პოეტი ცხოვრობდა, გაგიხარიათ კარგი საქმე იყოს! გულდასაწყვეტი მხოლოდ ის არის, რომ ქალბატონ თამარს თბილისში თურმე ეგულება შენობა, სადაც შოთას უცხოვრია, და აქამდე დუმდა ამაზე). პროფ. ა. ნიკოლეიშვილი სარედაქციო წინათქმის ავტორობას ალმანახის რედაქტორს მწერალ რევაზ მიშველაძეს მიაწერს, თუმცა იქ სწორედ მწერლური თვალსაზრისით ისეთი უმწეო ფრაზაა, რომ ამის დაჯერებაც ჭირს: „...ჩვენ, **უბრალო მკითხველის მანტიით** თუ ფილოლოგი პროფესორის ლუპით რუსთაველის „გასაჩხრეკად“ მისულნი“... **უბრალო** მკითხველი იმიტომაც არის უბრალო, რომ მოსამართლის ან აკადემიკოსის მსგავსად მას საგანგებო სამოსელი ანუ მანტია არა აქვს მხრებზე მოსხმული. თუმცა, სამწუხაროდ, მსგავსი შეცდომებისაგან არც ხელმოწერილი სტატიაა დაზღვეული. ერთი მაგალითით შემოვიფარგლები. პატივცემული რედაქტორი წერს:

„ადრინდელ ვეფხისტყაოსანშია: „ერთსა წავსწვდი უტევანსა, წავგრძელდი და წავე გრძელად“. შესწორებულშია: „ერთსა წავსწუდი უტევანსა, წავგრძელდი და წავე გრძელად“.

რატომ? რატომ? ამ განსაცვიფრებლად მაღალმხატვრულსა და პლასტიკურ სტრიქონში ჩადებული ინფორმაცია გვაუწყებს, ერთ უტევანზე (ნაბიჯზე) წავიწიე, ანუ „წავსწვდი“, „წავგრძელდი“ და წავე გრძელადო“. რა შუაშია „წავსწუდი“? შემსწორებლები „წაწუდომას“ რელიგიური გაგებით რომ არ გულისხმობენ, ცხადია. იგულისხმება წავაწყდი — „წავსწყდიო“, მაგრამ, რომ არც ესაა სწორი? ტარიელ კი არ „წასწყდა“, არამედ მანამდე მთელი სტრატეგიული, წინასწარგანზრახული სვლა ჩაატარა რამაზის მუხანათური გეგმის ჩასაფუშავად“ (გვ. 8).

გაიგეთ რამე ამ ტირადიდან, მკითხველო? მე პირადად, მხოლოდ ის ვირწმუნე, რომ აქაც უმტყუნა ენობრივმა ალღომ და ტექსტის მწერლურად წვდომა-გაგების უნარმა პროფესორ რ. მიშველაძეს. დავეხსნათ იმას, რომ უტევანი ერთი ნაბიჯი კი არა, ბევრად მეტია (**საბა** — უტევანი არს სტადიონი, რომელსა სომეხნი ასპარეზს უწოდენ, ხოლო ლათინნი და ელინნი სტადიას, რომელი 143 ბიჯი იქნების). სიტყვასთან შეჭიდებულმა კაცმა, შესაძლოა, ყოველთვის ვერც მოიცალოს „სიტყვის კონაში“ ჩასახედად, მაგრამ ლექსიკონებში ჩხრეკის გარეშეც განა ძნელი მისახვედრია, რომ აქ **„წავსწუდი“** წინ გაჭრას, ადგილიდან **მოწყვეტას** ნიშნავს? „ერთ ნაბიჯზე წავიწიე წინო“ — ამას ორმანეთიანი ყველის რიგში ჩამდგარი პენსიონერი თუ იტყვის, და არამც და არამც — ცხენდაცხენ მტრისკენ გაფრენილი ინდოეთის ამირბარი.

„კრიტიკამ“ ერთი ვაი-უშველებელი ატეხა რუსთაველის ცნობილ ტაეპზე — „ზოგსა გადაჰკრის მათრახი **ქვე მკრდამდის** გასაპობელად“ — ავტორისეული „მკერდამდის“ შეგვირყვნესო. პროფესორმა ა. ნიკოლეიშვილმაც, ცხადია, ბანი მისცა „კრიტიკას“ — ეს კია, რომ უშეცდომოდ ვერ გადმოიწერა შოთას ფრაზა და დაიწუნა არარსებული ფორმა — „ქვე მკერდამდის“. ახლა მოვუსმინოთ იმას, ვისაც, ჩემი აზრით, რ. მიშველაძესა და ა. ნიკოლეიშვილზე ნაკლებ არ დაეჯერება „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის კვლევისას: „ვარიანტების შერჩევისას, უპირველეს ყოვლისა, ვარკვევდით, თუ რომელი მათგანია ადრინდელი და რომელი რომლისგან უნდა წარმომდგარიყო, ან რომელი რომლის შემდეგ უნდა გაჩენილიყო. მაგალითად, ზოგ ხელნაწერში (ლაპარაკია ყველაზე მნიშვნელოვან A, B, C ხელნაწერებზე, — თ. ქ.) იკითხება „ქვე მკრდამდის“, ზოგში კი — „მკერდამდის“. ჩვენ მივიღეთ „ქვე მკრდამდის“... მაგრამ არა იმიტომ, რომ აგრე იკითხება A, B, C ხელნაწერებში, არამედ იმიტომ, რომ სავარაუდებელია, თავდაპირველად იყო „ქვე მკრდამდის“ და იგი გადაკეთდა „მკერდამდის“ ფორმად და არა პირუკუ“.

ასე განსჯის „ქვე მკრდამდის“ ფორმას გრამატიკის „ელემენტარულ“ კანონთა მცოდნე აკაკი შანიძე... პოეზიის უფრო რთული კანონების მცოდნე რევაზ მიშველაძე კი წერს: **„მკერდამდის“ ნაცვლად „ქვე მკრდამდის“ რომ ვიხილე, პირველად თვალს არ დავუჯერე. საიდან გაჩნდა ეს ენის გასატეხი „ქვე მკრდამდის?“ რა ლაღია და რა თავისუფლად „სუნთქავს“ სტრიქონი, როცა „მკერდამდის“ სწერია და რა ხელოვნურ, დამტვრეულ-დაღვლარჭნილ იერს იღებს „ქვე მკრდამდით“ შესწორებული“** (გვ. 6).

„ქვე მკრდამდის“ საიდანაც გაჩენილა, ამაზე პასუხი გაცემულია... რაც შეეხება ლაღად სუნთქვას, გამოდის, რომ სტრიქონი „ამოუხუთავს“ ფუძის შეკუმშვის შედეგად მიღებულ თანხმოვანთა კომპლექსს... ამგვარი კომპლექსები სწორედაც ქართულისთვის არის დამახასიათებელი და, ვაი ჩვენდა, თუ ისე „გავისალუქეთ“ ყური, რომ ველარ ვიგუებთ მათ. ნუ იფიქრებთ, თითქოს „მკერდამდის“ ფორმას რაიმეს ვუწუნებდე, მე მხოლოდ ის მიკვირს, ძველებურ „მკრდამდის“ ფორმას რა სჭირს დასაწუნი მეთორმეტე საუკუნის პოეტის მეტყველებაში? ჩემზე მეტად განა **„სტროფის სხეულის“ მდინარებასა** (!) და მის **„ლაღ სუნთქვას“ მიყურადებული შემოქმედის გრძნეულ ყურს** არ უნდა ეგრძნო, რომ აქ მართლაც ნატიფი ალიტერაცია გვაქვს **კრ**-კომპლექსის გამეორებით — „ზოგსა გადაჰკრის მათრახი ქვე მკრდამდის გასაპობელად?“ **მკრდ**-კომპლექსის გამოთქმა, რ. მიშველაძეს თუ ვერწმუნებით, რუსთაველს უჭირდა, ამიტომაც მსგავსი, „ენის მოსატეხი“, არქაული ფორმები მას „ლონივრად მოუქნევია და გადაუგდია“ (გვ. 7). კეთილი და პატიოსანი, ოღონდ **ღმრთ**-კომპლექსზე რაღას ვიტყვით? თანამედროვე ქართული ხომ **მკერდ**-ფუძის ანალოგიურად **ღმერთ**-ფუძესაც აღარ კუმშავს — „ღმერთამდის“ და არა „ღმრთამდის“... ახლა რა ვქნათ, გავუსწოროთ რუსთაველს „ენის გასატეხი“ — „თუცა ქალია, ხელმწიფედ **მართ ღმრთისა დანაბადია**“ — უფრო ლაღად და თავისუფლად მსუნთქავი ტაეპით — „თუცა ქალია, ხელმწიფედ **ღმერთისა** დანაბადია?“ არ მოგეწონათ? „მართ“ სიტყვა მოისაკლისეთ? შეიძლება მისი დატოვებაც, მაგალითად, ასე — „თუცა ქალია, ხელმწიფედ **მართ ღვთისა** დანაბადია“. პროფესორ რ. მიშველაძის ლოგიკით, ეს ალბათ დასაშვებია, ვეფხისტყაოსნის ტექსტში ჩახედული ნებისმიერი პირი კი გეტყვით, რომ ამგვარი გათანამედროვება ტექსტისა ყოვლად შეუწყნარებელია, მიუხედავად იმისა, რომ ზოგ ხელნაწერში (ისინი ოთხი საუკუნით მაინც არიან პოემის დაწერის დროს დაცილებულნი) **„მართ ღვთისა“** ფორმაც დასტურდება.

ასე რომ, რუსთაველი აქ არაფერ შუაშია, მას ენიდან არაფერი გადაუგდია; ეს ჩვენ მოვიქნიეთ უდიერად და წყალშიც გადავუყარეთ „ვეფხისტყაოსნისათვის“ დამაშვრალ ხალხს თავიანთი მრავალი წლის ნაშრომ-ნაღვაწი...

დავუბრუნდეთ პროფ. ა. ნიკოლეიშვილის წერილს. ავტორი მოითხოვს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის საქმიანობაში უფრო აქტიურად ჩაერიოს რუსთაველის საზოგადოება, საქართველოს მწერალთა კავშირი, მეცნიერებათა აკადემია, ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი... ისეთი სურათი იხატება, თითქოს ამ კომისიის შემადგენლობაში ვიღაც, ქუჩიდან მოკრეფილი, ხალხი იყოს შეყრილი... სწორედ ზემოჩამოთვლილი სამეცნიერო ცენტრების წამყვანი სპეციალისტები იყვნენ და არიან 1962 წლიდან დღემდე გაერთიანებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიაში... მე მხოლოდ რამდენიმეს, უკვე გარდაცვლილებს, ჩამოთვლი — **აკაკი შანიძე, ილია აბულაძე, პავლე ინგოროყვა, გიორგი ლეონიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, შალვა ნუცუბიძე, არნოლდ ჩიქობავა, ვუკოლ ბერიძე, გიორგი წერეთელი, ივანე გიგინეიშვილი**... ამათი და ამათ თანამოსაგრეთა ნაშრომ-ნაღვაწი განა ასე უნდა გავანიორწყალოთ? ან ეს უდიერი ტონი რაღას მივაწეროთ? უკმეხად თქმული სიმართლეც კი გამაღიზიანებელია, მაგრამ — კიდეც ტყუოდე და კიდეც ილანძღებოდე? საქმეს ვითომ შველის ნამუსის მოსაწმენდად თქმული ფრაზა: **„ამით იმას როდი ვამბობ, თითქოს კომისიას არაფერი გაუკეთებია მისაღები და გასათვალისწინებელი. ამის განცხადება დიდი მკრეხელობა იქნებოდა“**... ეს „ლეღვის ფოთოლიც“ პროფ. ა. ნიკოლეიშვილმა ალმანახ „კრიტიკიდან“ „ინათხოვრა“. იქაც წინ მსგავსი ფრაზა აიფარეს: **„ამ კომისიას მრავალწლიანი გულისხმიერი მუშაობისთვის მადლობის მეტი რა ეთქმის“...** მადლობას ვინ ჩივის, განქიქება არ ვაკმარეთ და „მათრახითა შემწიფებაც“ ვუქადით.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიას, ისევე, როგორც დიდ საქმეს შეჭიდებულ ყოველ კოლექტივს, ცხადია, ექნება თავისი სირთულეები და პრობლემები. არც შეცდომებისაგან არის მუშა ხალხი დაზღვეული. ფართო საზოგადოების ყურადღება და თანადგომა ამ კომისიას მართლაც სჭირდება (თუნდაც მათი ნამუშაკევის დროულად გამოცემის საქმეში).

სიტყვამ მოიტანა და, ამ კომისიას თავისი დიდი საქმე — „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის სამუშაო — ჯერაც არ გაუსრულებია, ალმანახმა „კრიტიკამ“ და პროფ. ა. ნიკოლეიშვილმა კი წინასწარ გამოიჩინეს მისდამი „მზრუნველობა“.

ყურადღება და მზრუნველობა კომისიას სჭირდება-მეთქი, მაგრამ, ჩემი აზრით, არა ასეთი!

• • •

P.S. ეს წერილი კარგა ხანია სასტამბოდ გამზადებული მქონდა, მაგრამ ჩვენი აკადემიის არჩევნებამდე მისი გამოქვეყნება საჭიროდ არ ჩავთვალე. პროფესორ ა. ნიკოლეიშვილის ზემოდასახელებული სტატიის შემდეგ კი, რამდენადაც ვიცი, პრესაში სხვა არავინ გამოხმაურებია ალმანახ „კრიტიკის“ რუსთველოლოგიურ პუბლიკაციებს. ამასობაში დაისტამბა ალმანახის მესამე ნომერი და რუბრიკით—„როგორ ვპატრონობთ მარგალიტს“? — „კრიტიკამ“ კვლავაც გააგრძელა რუსთველოლოგიურ საკითხებზე ზოგი ისეთი მასალის ბეჭდვა, გალაღებული დილეტანტიზმის დაღი რომ აზის. ეტყობა ალმანახმა ხუმრობაგაშვებით იდო თავს ის ამოცანა, რისთვისაც „პროფესორის ლუპით შეიარაღებულ“ კომისიას თავი ვერ გაურთმევია — პოემის ტექსტის დადგენა და, როგორც ჩემი შეტყობით ამ საქმეს პირი უჩანს, საერთოდაც მოვლა-პატრონობა „ვეფხისტყაოსნისა“ და რუსთველოლოგიისა.

„უპატრონობას“, თანაც საუკუნეთა მანძილზე, ღვთის მადლით, გადაურჩა „ვეფხისტყაოსანი“, ესე იგი — საქართველო. ვაითუ დღესდღეობით ჩვენ უსაშველოდ მომრავლებულმა „პატრონებმა“ დაგვმართონ ის, რაც უპატრონობამ ვერ გვიქნა.

თამაზ კვაჭანტირაძე.

უცხოეთში

საქდესის იუწყება

12 ივლისი

◆ ჩეხოსლოვაკია

დაგვეხმარება საბჭოთა კავშირის გამოცდილება

პრაღა. ჩეხოსლოვაკიელ კომუნისტებს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნისათვის მუშაობაში შეუძლიათ მთლიანად დაეყრდნონ საბჭოთა კავშირის გამოცდილებას, სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის დოკუმენტებს. ეს იდეური სიმდიდრე რაც შეიძლება სრულად უნდა გამოვიყენოთ, ხაზგასმით აღნიშნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა იან ფოიტიკმა, რომელიც გამოვიდა ქალაქ კარვინში გამართულ იდეოლოგიური აქტივის სემინარზე. მაგრამ არ შეიძლება საბჭოთა გამოცდილება მექანიკურად გადავიღოთ. ამოცანა ის არის, რომ შემოქმედებითად გამოვიყენოთ იგი ჩეხოსლოვაკიის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში გარდაქმნის რეალიზაციის წარმატება განპირობებულია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის მიერ წამოყენებული პროგრამის ღრმა გაგებით. ეს მოითხოვს ჩეხოსლოვაკიის საზოგადოების მთელი შემოქმედებითი ძალების დარაზმვას, კრიტიკულ მიდგომას საქმის ვითარებისადმი, მათ შორის პარტიის იდეოლოგიური მუშაობის დარგშიც, ხაზგასმით აღნიშნა ი. ფოიტიკმა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

წერილი გენერალურ მდივანს

ნიუ-იორკი. პაკისტანის პრეზიდენტს განზრახული აქვს ძირი გამოუთხაროს ჟენევის შეთანხმებებს ავღანეთის შესახებ, შეიარაღებული ოპოზიციის ხელით დაამხოს მთავრობა ქაბულში და მოხაპოს საზღვარი ავღანეთსა და პაკისტანს შორის, ნათქვამია წერილში, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ავღანეთის მუდმივმა წარმომადგენელმა შაჰ მოჰამედ დოსტმა.

ისლამაბადში მიმდინარე სამხრეთ აზიაში ეროვნული სტაბილურობისა და რეგიონული ურთიერთობების საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის საბოლოო სხდომაზე გამოსვლისას ზია-ულ-ჰაკმა აშკარად აღიარა, რომ არ აპირებს ხელი აიღოს ავღანეთის საშინაო საქმეებში ჩარევაზე.

ამერიკა არჩევნების წინ

დუკაკისი თუ ბუში?

ვაშინგტონი. მასაჩუსეტსის შტატის გუბერნატორი დემოკრატი მაიკლ დუკაკისი დაამარცხებდა ვიცე-პრეზიდენტს რესპუბლიკელ ჯორჯ ბუშს პრეზიდენტის არჩევნებში, იგი ახლა რომ იმართებოდეს. ეს ცხადყო სი-ბი-ეს ტელეკომპანიისა და გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიერ ერთობლივად მოწყობილი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებმა. გამოკვლევის მონაცემების თანახმად, დუკაკისს მხარს უჭერს ამერიკელ ამომრჩეველთა 47 პროცენტი, ბუშს — 39 პროცენტი. მათ კანდიდატურებს, როგორც მოელიან, დაამტკიცებენ დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების მომავალ ყრილობებზე. დემოკრატები შეიკრიბებიან თავიანთ ყრილობაზე მომავალ კვირაში, რესპუბლიკელები — აგვისტოში.

● ნიკარაგუა

გამოაცხადეს პერსონა ნონ გრატად

მანაგუა. ნიკარაგუის მთავრობამ პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ნიკარაგუაში რიჩარდ მელტონი და ამერიკის დიპლომატიური წარმომადგენლობის კიდევ 7 თანამშრომელი რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევის გამო.

როგორც აქ გამართულ პრესკონფერენციაზე ნიკარაგუის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიგელ დესკოტომ განაცხადა, ნიკარაგუის საწინააღმდეგო საქმიანობაში გარეულმა დიპლომატებმა ქვეყანა უნდა დატოვონ 72 საათის განმავლობაში. რ. მელტონის მოქმედება შეუთავსებელია მის სტატუსთან, თქვა მინისტრმა.

მთავრობის სახელით მ. დესკოტომ მტკიცე პროტესტი განუცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას სომოსელთა ტერორისტული საქმიანობის გააქტიურების გამო, რომლებსაც აფინანსებს და აიარაღებს ვაშინგტონი. მინისტრმა მოითხოვა დაუყოვნებლივ შესრულდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სასამართლოს მოთხოვნები, რომლებიც ითვალისწინებენ შეერთებული შტატების მიერ სომოსელი კონტრრევოლუციონერებისათვის ყოველგვარი მხარდაჭერის შეწყვეტას და ნიკარაგუის დამოუკიდებელი და სუვერენული განვითარების უფლების პატივისცემას.

საინტერესო სიახლე

შვეიცარიის კონცერნმა „ჯივანოლამ“ შექმნა მონორელსური რკინიგზა, რომელსაც სეულში ოლიმპიური თამაშების დროს გამოიყენებენ. კომფორტული ელექტრომატარებელი სპორტსმენებს ოლიმპიური სოფლიდან მიიყვანს შეჯიბრების ადგილებამდე. უკვე დამთავრდა მონორელსური გზის ვაგონების ტექნიკური გამოცდა (სურათზე).

კეისტონ-საქდესის ფოტო.

ეკოლოგია

იღუპება ტბები

ნიუ-იორკი. ადირონდაკის მთების რაიონში მდებარე მთელი ტბების მეოთხედი მკვდარია „მჟავური წვიმებით“ მოწამვლის შედეგად. აქაური წყალსატევების კიდევ 20 პროცენტი უახლოეს ხანს „შხამიან წუმპეებად“ გადაიქცევა, თუ სასწრაფოდ არ იქნა მიღებული ზომები. ეს ნათქვამია მოხსენებაში, რომელიც ნიუ-იორკის შტატის გარემოს დაცვის სააგენტომ მოამზადა.

როგორც სააგენტოს მეთაურმა თომას ჯორლინგმა განაცხადა, დოკუმენტი გვიჩვენებს, რაოდენ გამოუსწორებელი ვნება მოუტანა შტატის წყლის სისტემას შხამიანმა ნალექმა. ამ შხამების მთავარი წყაროა თბოელექტროსადგურები და სხვადასხვა სამრეწველო საწარმოები. ისინი ატმოსფეროში აფრქვევენ უამრავ გოგირდშემცველ მავნე მინარევებს, რომლებიც თანამოქმედებენ წყლის ორთქლთან, გადაიქცევიან მჟავად და შემდეგ დამღუპველ წვიმებად ევლინებიან ტყეებსა და ველ-მინდვრებს, ტბებსა და მდინარეებს, სპობენ ყოველივე ცოცხალს.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **ნიუ-იორკი.** აქ დაიწყო ანგოლის, კუბის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენელთა შეხვედრა იმ მიზნით, რომ მოამზადონ შეთანხმება სამხრეთ აფრიკის ვითარების მოწესრიგების შესახებ. ეს ფაქტობრივად იმ ოთხმხრივი მოლაპარაკების განგრძობაა, რომელიც ამა წლის მაისში დაიწყო ლონდონში და შემდეგ ივნისის დამდეგს კაიროში გაგრძელდა.

● **მეხიკო.** როგორც გვატემალიდან იუწყებიან, აქ გრძელდება გაფიცვები და საპროტესტო გამოსვლები ულტრამემარჯვენე ძალების გააქტიურების წინააღმდეგ. გვატემალაში თავიანთ ავბედით საქმიანობას აფართოებენ ეგრეთ წოდებული „სიკვდილის ესკადრონები“.

● **ბერლინი.** ბალის ოლქის სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა სამხედრო პოლიციის 304-ე ბატალიონის დაზვერვის ოცეულის მეთაურის ყოფილ მოადგილეს მანფრედ პელიგს, რომელმაც მძიმე დანაშაული ჩაიდინა მეორე მსოფლიო ომის წლებში. 1941 წლის სექტემბერში ბრალდებული მონაწილეობდა ფაშისტთა სისხლიან ოპერაციებში უკრაინის ტერიტორიაზე, რომელთა დროს გაჟლიტეს ებრაული ეროვნების ათასობით საბჭოთა მოქალაქე, მათ შორის ქალები და ბავშვები.

უმაღლესი სკოლა: მისაღები გამოცდების წინ

სამომავლოდ გასათვალისწინებელი

ახლა თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ისევე როგორც სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ცხარე დღეებია. ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივი, რომ იტყვიან, მუხლჩაუხრელად შრომობს. ეს-ესაა, დამთავრდა გადასაყვანი და სახელმწიფო გამოცდები, სასწავლო-სამეცნიერო კათედრებმა წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში ჩააბარეს საინსტიტუტო საბჭოს, ფართოდ განიხილავენ XIX პარტიული კონფერენციის მასალებს. ისახება ახალი გეგმები და ამოცანები მომავალი სასწავლო წლის ორგანიზებულად შეხვედრისას და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესებისათვის. დისლოკაციის ადგილებზე მიემგზავრებიან სტუდენტთა შრომითი და სამშენებლო რაზმები. უკვე გზას დაადგნენ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა დიალექტოლოგიური და ფოლკლორული ექსპედიციები, რომლებიც, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებსა და მთიან რაიონებში იმუშავებენ. რესპუბლიკის პიონერულ ბანაკებში პედაგოგიური პრაქტიკის გასავლელად, საგზური მიეცა 300-მდე სტუდენტს. ამ დღეებში სასწავლო-სამხედრო შეკრებაზე გავაცილეთ დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და ფიზაღზრდის ფაკულტეტის 150-მდე სტუდენტი, შენდება ახალი სპორტული საწვრთნელი დარბაზები, მიმდინარეობს რემონტი სასწავლო კორპუსებსა და საერთო საცხოვრებლებში, სტუდენტურ სასადილოში.

სასწავლო-სამეცნიერო და შრომით საქმიანობასთან ერთად, საინსტიტუტო ცხოვრების ყველა უბანზე გაცხოველებული საიუბილეო მზადებაა ინსტიტუტის დაარსებიდან 50 წლისთავის შესახვედრად.

და მაინც, ახლა ჩვენი უპირველესი საზრუნავი მისაღები გამოცდების ორგანიზებულად და ობიექტურად წარმართვაა. ვცდილობთ, დავნერგოთ სიახლეები, რაც ხელს შეუწყობს აბიტურიენტთა ცოდნის მაქსიმალურ გამოვლენას, ობიექტურ შეფასებას, მიმღებ კომისიის შემადგენლობაში შევიყვანეთ აქტიური, ფრიადოსანი სტუდენტები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. ფაციაშვილი, სოციალისტური შრომის გმირი ნ. ქევხიშვილი, საბრძოლო დიდების სამივე ხარისხის ორდენის კავალერი გ. მტირალიშვილი და სანიორის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. აივაზაშვილი.

ინსტიტუტის პრაქტიკაში წელს პირველად გამოვიყენებთ ადგილობრივ ტელეგადაცემებს, რითაც ინსტიტუტის კარს მოჯარულ აურაცხელ გულშემატკივარს საშუალება ექნება თვალი ადევნოს აბიტურიენტის წერითსა თუ ზეპირ გამოცდას. აბიტურიენტთა და მშობელთათვის ოპერატიული ინფორმაციისა და ცნობების გაცემის მიზნით დამონტაჟდა ადგილობრივი რადიოგადაცემის აპარატურა. გამოცდების „პროცესშივე გადავიღებთ წერითი ნამუშევრების ფოტოპირებს.

წელს ქართული ენის, ქართული ლიტერატურის, პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრებმა განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავეს სკოლებში მოსწავლეთა პროფორიენტირების მიზნით. საშუალო და პროფტექნიკური სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები ჩვენი ინსტიტუტის ხშირი სტუმრები იყვნენ.

წელს მისაღებ გამოცდებზე, მიმღები კომისიის გადაწყვეტილებით, ჩარიცხვისას შეღავათები მიეცემათ მეომარ ინტერნაციონალისტებს, ნაციონალური უმცირესობის წარმომადგენლებს, მაღალმთიანი სოფლებიდან ჩამოსულ ვაჟებს, 2 და მეტშვილიან დედებს, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, სოციალისტური შრომის გმირებს, მასწავლებლებს, სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკებს.

მონდომებული მუშაობის მიუხედავად, პრობლემები კვლავ ბევრზე ბევრია. და ეს, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ინსტიტუტში მისაღები კონტინგენტის საგრძნობ შემცირებასთან. მაგალითად, მათემატიკა-ფიზიკის სპეციალობაზე გამოყოფილი გვაქვს 15 ადგილი. აქედან 2 უკვე შევსებულია მოსამზადებელი განყოფილებიდან, დარჩენილ 13 ადგილზე, როგორც წინა წლებში, ალბათ, განცხადებას შემოიტანს 130-150 აბიტურიენტი მაინც.

ასევე შემცირებულია მიღება სხვა სპეციალობებზეც. ადრე ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე 25 კაცს ვიღებდით, ახლა კი 20-ს. ასეთივე მდგომარეობაა ისტორიის, სამართალმცოდნეობისა და საზოგადოებათმცოდნეობის, რუსული ენისა და ლიტერატურის (ნაციონალურ სკოლაში), დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობებზე. დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და ფიზაღზრდის სპეციალობაზე 1988-89 სასწავლო წლისათვის მიღება შემცირდა 25 კაცით. ამ სპეციალობაზე კი, სოციალური დაკვეთით, ჩვენ კადრებს ვუმზადებთ რესპუბლიკის 42 რაიონს (კახეთის რეგიონისა და ქალაქების — — თბილისისა და ქუთაისის გარდა). პრაქტიკამ ცხადყო, რომ კახეთის რაიონებში მცხოვრები კურსდამთავრებულნი ხალისით მიდიან სამუშაოდ აჭარის, სვანეთის, სამხრეთ საქართველოსა და სხვა რაიონების სოფლების სკოლებში. მაშ, რატომ ვზღუდავთ აქაურ დემობილიზებულ ახალგაზრდებს, რად ვუშლით ხელს, რომ უმაღლესი განათლება მიიღონ თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და ფიზაღზრდის, სპეციალობაზე?

ვფიქრობთ, ეს პრობლემები ყურადსაღებია და სამომავლოდ უთუოდ გასათვალისწინებელი.

ნ. მალუძე,
თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

გუშინ — დღეს — ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ინტერბანაკმა დროშა აღმართა

●... **სოფიელმა** სტუდენტმა ჟანეტა დიულგეროვამ ჩაის საკრეფი აპარატი პირველად აიღო ხელში, მაგრამ პლანტაციაში საქმე მაშინვე აეწყო. დაეხმარნენ ადგილობრივი ახალგაზრდები, ინტერბანაკის წევრები, რომელმაც ამ დღეებში აღმართა დროშა ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენში. ერთი თვის განმავლობაში ბულგარეთიდან, იუგოსლავიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან ჩამოსული ათობით სტუდენტი იშრომებს ადგილობრივი საბჭოთა მეურნეობის ჩაის პლანტაციებში.

ინტერბანაკის მონაწილეთათვის საბჭოთა მეურნეობამ გამოყო ტექნიკა, სპეციალური პლანტაციები. ახალგაზრდები ასობით ტონა ჩაის ფოთოლს მოკრეფენ. ჩაის მკრეფავებს გასამრჯელოს აძლევენ, ამიტომ სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტები ხალისით შრომობენ პლანტაციებში.

ინტერბანაკის ორგანიზატორებმა, რომელიც სტუდენტური თვითმმართველობის მეთოდით ცხოვრობს, იმაზეც იფიქრეს, თუ როგორ უნდა გაატარონ ახალგაზრდებმა საინტერესოდ დასვენების დღეები. ახალგაზრდები ივლიან ტურისტულ ლაშქრობებში, იმოგზაურებენ საქართველოს ქალაქებში, მოეწყობა ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოები.

ბევრი ქართველი სტუდენტი არდადეგებს გაატარებს ბულგარეთის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირის შრომით ბანაკებში. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების 1200-ზე მეტი ახალგაზრდა წელს თათრეთის ასს რესპუბლიკაში, კრასნოდარის მხარეში, სმოლენსკის, ულიანოვსკის და ქვეყნის სხვა ოლქებში იშრომებს.

▼ ▼

საზაფხულო მარშრუტები

● **საქართველოს** შემოქმედებითი კოლექტივების ზაფხულის მარშრუტები მთელ რესპუბლიკაში გადის. მდიდარი და შინაარსიანია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სეზონი. არ დარჩება თითქმის არც ერთი სამრეწველო ცენტრი, სასოფლო-სამეურნეო რაიონი, რომელთა მშრომელებსაც არ ექნებათ შესაძლებლობა გაეცნონ ახალ მუსიკალურ ნაწარმოებებს, შემსრულებლებს და კოლექტივებს.

● **ამ** დღეებში ჟინვალში, დუშეთსა და გორში მოგზაურობიდან დაბრუნდა ვოკალურ ინსტრუმენტული ანსამბლი „ორერა". მისმა მონაწილეებმა დასვენების საათებში მოიწვიეს ესტრადის მოყვარულები ქართველი, რუსი და უცხოელი კომპოზიტორების საუკეთესო ნაწარმოებების მოსასმენად. თეთრი წყაროს, ბოლნისის, მარნეულის, გარდაბნისა და სამხრეთ საქართველოს სხვა რაიონების მსმენელებს თავიანთი ხელოვნება გააცნეს ანსამბლ „ელადის" მონაწილეებმა, რომელსაც ხელმძღვანელობენ ქრისტოს და პეტროს პანიციდისები. ამავე რეგიონებში სტუმრად ჩავლენ სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „სიმდის" მსახიობები.

● **ცაგერის,** ამბროლაურისა და ონის რაიონებში გამოვა ქუთაისის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ფაზისი". საესტრადო ჯგუფი დ. ჩხაიძის ხელმძღვანელობით კონცერტებს გამართავს რაჭა-ლეჩხუმში. ფართოდ იქნება წარმოდგენილი აჭარისა და ქუთაისის ფილარმონიების სოლისტების ხელოვნება. პროგრამაშია აგრეთვე ყაზახეთის საესტრადო ანსამბლ „ჟალინთან" შეხვედრა, რომელიც თავის საშემსრულებლო ხელოვნებას გააცნობს აფხაზეთის ასსრ მცხოვრებლებს.

▼ ▼

კომპოზიტორის საავტორო საღამო

● **კვლავ** მიიხმო თბილისელი მსმენელები ხელოვნების მუშაკთა სახლში ოპერისა და ბალეტის ექსპერიმენტულმა კამერულმა თეატრმა, რომელიც ამ გაზაფხულს შეიქმნა. საქართველოს სახალხო არტისტის ალექსანდრე შავერზაშვილის საავტორო საღამომ საშუალება მისცა მუსიკის მოყვარულთ გასცნობოდნენ ოსტატის ახალ ნაწარმოებებს, რომლის მრავალმხრივი შემოქმედება დამსახურებული აღიარებით სარგებლობს.

ოპერისა და ბალეტის ექსპერიმენტულ კამერულ თეატრს დაგეგმილი აქვს აგრეთვე კომპოზიტორების ალექსი მაჭავარიანის, ოთარ გორდელის, ფელიქს ღლონტის საავტორო საღამოები.

ყველაზე ახალგაზრდა მუსიკალური თეატრის ხელოვნებას გაეცნენ გურჯაანელი და მცხეთელი მსმენელებიც. ამ დღეებში იგი ეწვევა ქალაქ კურორტს ბორჯომს.

▼ ▼

წვიმა და სეტყვა საქართველოში

● **როგორც** მეტეოროლოგები იუწყებიან, დასავლეთ საქართველოში კვლავ წვიმს. 11 ივლისს ყველაზე მეტი ნალექი მოვიდა სოხუმში — 17 მილიმეტრი, ოჩამჩირეში — 18, ამბროლაურში — 22, გალში — 26 მილიმეტრი, ბორჯომის რაიონი დაისეტყვა.

უახლოეს ხანს დასავლეთ რეგიონში ამინდი არსებითად არ შეიცვლება. აღმოსავლეთ საქართველოში, უმთავრესად კახეთის ზონაში, მოსალოდნელია ნალექები, შესაძლოა სეტყვა.

▼ ▼

გაიხსნა სამედიცინო მომსახურების კოოპერატივი

● **ქ. თბილისის** I კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე (26 კომისრის სახელობის რაიონი, წინანდლის ქ. № 9, მეტრო, „300 არაგველი") გაიხსნა სამედიცინო მომსახურების კოოპერატივი „მკურნალი", რომელიც იღებს ავადმყოფებს ყოველდღიურად საღამოს ხუთის ნახევრიდან 8 საათამდე, ყოველგვარი მიმართვის გარეშე. დედაქალაქის მცხოვრებთ და რაიონებიდან ჩამოსულთ მოემსახურებათ ყველა დარგის სპეციალისტი. გამოკვლევა წარმოებს თანამედროვე მედიცინის უახლესი მიღწევებით.

▼ ▼

„მოგონებათა თითო ფურცელი"

● **ასეა** დასათაურებული სცენის დიდოსტატის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვერიკო ანჯაფარიძის წიგნი, რომელიც საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირმა გამოსცა.

წიგნი მოგვითხრობს კ. მარჯანიშვილის, უ. ჩხეიძის, ა. ხორავას, ნ. ვაჩნაძის, ვ. გოძიაშვილის, ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს, ე. გოგოლევას, გ. ლეონიძის, ი. გრიშაშვილის, ს. ჩიქოვანის, პ. კაკაბაძის, ლ. გუდიაშვილის, საბჭოთა ხალხის სხვა საუკეთესო შვილების ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, რომლებთანაც დიდი, გულთბილი მეგობრობა აკავშირებდა ვერიკო ანჯაფარიძეს.

რუბრიკისათვის გამოყენებულია საქდეპის, საქინფორმისა და „კომუნისტის" კორესპონდენტთა მასალები.

აკუპუნქტურისტთა მსოფლიო კონგრესი

ახლახან ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში გაიმართა აკუპუნქტურის მსოფლიო კონგრესი, რომლის მაღალ დონეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ბულგარეთის გარდა კონგრესზე წარმოდგენილი იყვნენ მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოები, მათ შორის საბჭოთა კავშირი.

აკუპუნქტურა (ნემსის ჩხვლეტა) რეფლექსოთერაპიის აღმოსავლური ხალხური მედიცინის მეთოდია, რომელსაც ოთხი ათასი წლის ისტორია აქვს. მან საუკუნეების გამოცდას გაუძლო, ჩვენამდე თავისი პირველქმნილი სახით მოვიდა და დღესაც კი აკუპუნქტურა მეტად ეფექტიან თანამედროვე სამკურნალო საშუალებად დარჩა. ნემსის ჩხვლეტის მიმართ ცხოველი ინტერესი გამოიწვია უპირველესად იმით, რომ ეს უმედიკამენტო სამკურნალო საშუალებაა, დღეს კი მთელ მსოფლიოში წამლისმიერი დაავადების ეპიდემიაა. გარდა ამისა, მკურნალობის აღნიშნული მეთოდი მარტივი და ეკონომიურია, არ მოითხოვს რთულ და ძვირადღირებულ აპარატურას, გამოიყენება ნებისმიერ ვითარებაში.

კონგრესზე ძალიან დიდი მასალა წარმოადგინეს შინაგანი, ნევროლოგიური, ყელ-ყურის, კანის, უროლოგიური და გინეკოლოგიური დაავადების მკურნალობის ის შემთხვევები, როდესაც წამლისმიერი ზემოქმედება მეტწილად უშედეგო იყო, ნემსის ჩხვლეტამ კი ავადმყოფებს საგრძნობი შეღავათი მისცა. აკუპუნქტურის უდავო გამაყუჩებელი ეფექტი წარმოდგენილი იყო სტომატოლოგიური პრაქტიკიდან, როდესაც შესაძლებელია ნემსის ჩხვლეტით კბილის უმტკივნეულო ამოღება, ან ონკოლოგიურ სამსახურში ტკივილის დროს ნარკოტიკული საშუალებების შენაცვლება აკუპუნქტურის ზემოქმედებით. შესანიშნავი შედეგები იყო მოხსენებული თამბაქოს წევის, ქრონიკული ალკოჰოლიზმის, სიმსუქნის სინდრომის აკუპუნქტურით მკურნალობისას.

საქართველოდან კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ სამამულო ომის ინვალიდთა ჰოსპიტალის ნევროპათოლოგი ნ. ჭარაძაშვილი, ქალაქის მთავარი რეაბილიტოლოგი გ. ხაჭაპურიძე და ამ სტრიქონების ავტორი.

მ. კანდელაკი,
დოცენტი.

კონტაქტები იქმნება საერთაშორისო ეტალონი

— **ევა** ლეონოვიჩმა — პოლონეთის მეტროლოგიის ეროვნული ცენტრის ერთ-ერთმა წამყვანმა სპეციალისტმა, ჩემზე მოახდინა დიდად ერუდირებული სპეციალისტის შთაბეჭდილება, რომელთანაც ხალისით შევუდგებით ერთობლივ მეცნიერულ გამოკვლევებს. ასე დაახასიათა კოლეგა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ისრის" ლაბორატორიის გამგემ, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა გურამ ჭანიშვილმა, რომელიც პოლონეთში საქმიანი მოგზაურობიდან დაბრუნდა.

თავისი შთაბეჭდილება მეცნიერმა ახსნა საქართველოსა და პოლონეთის მეტროლოგთა ერთობლივ მუშაობაში მიღწეული შედეგებით. საქმე ეხება ხსნარების ხვედრითი ელექტროგამტარობის ეტალონს, რომელიც პირველად შეიქმნა ჩვენს რესპუბლიკაში. ამ სიდიდის ცოდნის გარეშე შეუძლებელია საუკეთესო ხარისხის ქიმიური მასალებისა და სამედიცინო პრეპარატების გამოშვება, ჩვეულებრივი და ატომური ელექტროსადგურების მუშაობა, გაჭუჭყიანებისაგან გარემოს დაცვის ეფექტიანი სისტემების შექმნა.

— ასეთი ეტალონები ჯერჯერობით არ არის არა მარტო პოლონეთში, არამედ არც სხვა ქვეყნებშიც, მაგრამ მალე იქნება,— უთხრა გ. ჭანიშვილმა საქინფორმის კორესპონდენტს. — ჩვენ შევთანხმდით ერთობლივი მეცადინეობით შევქმნათ ელექტროგამტარობის ერთიანი, საერთაშორისო ეტალონი. ჩვენ, სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებს, შეგვიძლია შევქმნათ ტექნიკა, რომელიც დააკმაყოფილებს არა მარტო დღევანდელ, არამედ ხვალინდელ მოთხოვნილებებსაც. ეს თქვა XIX საკავშირო კონფერენციაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა. ამ სიტყვების სისწორეში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი პოლონეთში ყოფნისას.

ახალგაზრდობა

საიმედო თაობა

თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლის 1987-88 წლის საანგარიშო-გამოსაშვებმა საღამომ მრავალი პერსპექტიული ახალგაზრდა მოცეკვავე გაგვაცნო. საკონცერტო პროგრამაში ნაჩვენები იყო ადანის ბალეტ „ჟიზელის" მეორე მოქმედება.

სასწავლებლის მთავარი კონსულტანტის სსრ კავშირის სახალხო არტისტის ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის ვ. ჭაბუკიანის არჩევანი, მოსწავლეთა ძალებით განხორციელებინა კლასიკური მემკვიდრეობის ნაწარმოები, მისი პედაგოგიური მოღვაწეობის მხატვრული პოზიციის ნათელი დადასტურებაა. ცეკვის დიდოსტატი არ მოერიდა სირთულეებს და არც გააიოლა ის ნორმები, ამა თუ იმ პარტიების ქორეოგრაფიული ტექსტის საფუძველს რომ წარმოადგენს.

მისი მეთოდი — ცეკვის დადგმის პროცესში განუყითაროს მოსწავლეებს სახეობრივი აზროვნება, შესრულების არტისტიზმი, ყოველთვის შედეგიანია და ნებისმიერი მონაცემის მოცეკვავის ნამუშევარს ემჩნევა. ეს დაგვიდასტურა კურსდამთავრებულ თ. მკურნალის გამოსვლამ ჟიზელის პარტიაში. მის შესრულებას ახლდა პლასტიკის სტილისტური ნიუანსირებით გადმოცემული რომანტიკული ბალეტის ჟანრის შეგრძნება. რაც შეეხება ა. ფელდმანის წარმატებას ალბერის პარტიაში, რომელსაც საბალეტო დასში წამყვანი პარტია ჯერ არ უცეკვია, საინტერესო შემოქმედებითი ბიოგრაფიის დასაწყისის მნიშვნელობა ენიჭება. ბალეტის მსახიობთა ამიერკავკასიის კონკურსის დიპლომანტმა, მეორე კურსის მოსწავლემ ე. შავლიაშვილმა სუფთად და გააზრებულად იცეკვა მირტას პარტია. გულწრფელი იყო პირველი კურსის მოსწავლე ი. სოროკინიც ჰანსის როლში, ძალიან დამაჯერებელი და მართალი სცენურ სიტუაციებში.

წლევანდელი გამოსაშვები საღამოსათვის მომზადდა ახალი ქორეოგრაფიული კომპოზიციები. ვ. ჭაბუკიანმა გლინკას ოპერის „რუსლან და ლუდმილას" მე-3 აქტის მიხედვით შექმნა კლასიკური ცეკვის ლექსიკით გადაწყვეტილი ქორეოგრაფიული სცენა, სადაც ლუდმილას საძებნელად წასული რუსლანის ძმადნაფიცი რაინდი რატმირი, ჯადოქარ ნაინას სამფლობელოშია მოხვედრილი. ჭაბუკიანმა რატმირის პარტია (რომელსაც დახვეწილად ასრულებდა I კურსის მოსწავლე დ. კუზნეცოვი) ვაჟკაცური სიმამაცის და სილაღის ამსახველი ილეთებით ააგო რატმირის ცეკვას ენაცვლებოდა ნაინას მხლებელ ქალთა ლამაზად განლაგებული ჯგუფების ჰარმონიული საცეკვაო კომპოზიციები, რომელშიც მიღწეული იყო შესრულების სიზუსტე და ანსამბლურობა (აღნიშნულ სპექტაკლების მზადების პერიოდში ვ. ჭაბუკიანთან პედაგოგ-რეპეტიტორებად გაპიროვნებულნი იყვნენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი რ. აბაშიძე და ს. შაროვა).

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ალექსიძემ შემოგვთავაზა ცეკვების ახალი ციკლი „ბავშვთა თამაშობანი" ჟ. ბიზეს მუსიკაზე, თამაშის ილუსტრაციული ხერხების გამოყენებით, როგორც ჩანს, ბალეტმაისტერს ცეკვების ეს სერია გამიზნული აქვს სპეციფიკური საბავშვო ქორეოგრაფიული ლექსიკის დასამკვიდრებლად. საღამოზე სასიამოვნო სიურპრიზად მოგვევლინა პატარა მარიამ ალექსიძის გამოჩენა სცენაზე.

დანარჩენი ცალკეული ნომრები თავმოყრილი იყო კონცერტის მეორე განყოფილებაში. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ვ. ჭაბუკიანის კლასის პირველი კურსის პერსპექტიულმა მოსწავლეებმა: დ. ვერხოტუროვმა, ი. სოროკინმა, დ. კუზნეცოვმა მისივე დადგმულ შ. გუნოს კლასიკურ ვარიაციაში. წარმატება ჰქონდათ კურსდამთავრებულ ნ. ბარამიას და მის პარტნიორს დ. ვერხოტუროვს, მ. ნიორაძეს (მე-2 კურსი) და ი. სოროკინს ხალხურ ხასიათში გადაწყვეტილ მალატის ესპანურ ცეკვაში. ტექნიკური მომზადება გამოავლინეს ბალეტის მსახიობთა ამიერკავკასიის I კონკურსის დიპლომანტებმა ს. შავლიაშვილმა, ვ. კუზნეცოვამ, ვ. გრინევიცკაიამ და პირველი კურსის მოსწავლემ ლ. კანდელაკმა.

საკონცერტო განყოფილებაში თავისი ნამუშევრებით წარდგნენ: რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ნ. სილვანოვიჩი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები მ. გრიშკევიჩი, ვ. დოლიძე, პედაგოგი-რეპეტიტორები ზ. ლაბაძე, ნ. დიდებულიძე, მ. ზერცალოვა, ლ. შკუნოვა, გ. გორბოვიჩი, დ. ხუციშვილი.

გამოსაშვები საღამოს მუსიკალური ხელმძღვანელობა დაკისრებული ჰქონდა დირიჟორ რ. ტაკიძეს, სცენისა და კოსტიუმების მხატვრული გაფორმება — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ი. ასკურავას და ი. ინაშვილს.

ნ. ბუნია,
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.

• • •

სურათზე: ქორეოგრაფიული სასწავლებლის გამოსაშვები საღამოს ერთ-ერთი დადგმის „ბავშვთა თამაშობანის" მონაწილენი.

ი. მურადოვის ფოტო.

ბრისტოლი თბილისის მეშვიდე პარტნიორია

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში არის რუკა, რომელზეც აღნიშნულია მსოფლიოს ქალაქები, რომლებთანაც საქართველოს დედაქალაქმა პარტნიორული კავშირურთიერთობა დაამყარა. მალე მასზე კიდევ ერთი წერტილი გაჩნდება. ამჯერად მეგობრობისა და თანამშრომლობის ხიდი გაიდება ნისლიანი ალბიონის ქვეყანაში. დიდი ბრიტანეთის სამხრეთ-დასავლეთის „დედაქალაქი", ქვეყნის საფინანსო საქმიანობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ცენტრი — ქალაქი ბრისტოლი გახდება თბილისის მეშვიდე პარტნიორი. ხელშეკრულების დასადებად ბრისტოლში გაფრინდა დელეგაცია თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ი. ანდრიაძის ხელმძღვანელობით.

ქალაქის კალენდრის საგულისხმო მოვლენებს შორის არის კინოფესტივალი ცხოველთა სამყაროს და ბუნების შესახებ. მისი ორგანიზაცია ასახავს წყალსატევების, გარემოს დაცვაში ამ სანავსადგურო ქალაქის მრავალფეროვან საქმიანობას. ხელშეკრულება დასახავს თანამშრომლობის გზას ისეთი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემის გადაჭრაში, როგორიც არის ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან აცილება.

ახალი პოლიტიკური აზრის დამკვიდრებაზე დაფუძნებული ჩვენი ქვეყნის პოლიტიკა საშუალებას გვაძლევს მივუახლოვდეთ უბირთვო მსოფლიოსა და ქვეყნად სიცოცხლის შენარჩუნების სანუკვარ მიზანს. პარტნიორული კავშირურთიერთობის განვითარება წინგადადგმული ნაბიჯია ამ გზაზე. (საქინფორმი).

ბულგარული მოდის ვერნისაჟი

განსაკუთრებით მოდური ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, გალანტერეის ფართო ასორტიმენტი, რომლებიც დამზადებულია ბულგარელი დიზაინერების ესკიზების მიხედვით, თბილისელ მოდის მოყვარულთ შესთავაზეს სპეციალიზებულმა სალონ-ბუტიკებმა, რომლებიც ლესელიძის ქუჩაზე გაიხსნა. ასე დაიწყო დიზაინერთა ნამუშევრებისა და მზა ნაწარმის გაცვლის შესახებ ხელშეკრულების რეალიზაცია, რომელიც დადეს საქართველოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ასოციაციამ „ინდუსტრია ადამიანისათვის".

— მე მიმიზიდა იმან, — გაგვიზიარა შთაბეჭდილებანი სალონების ერთ-ერთმა დამთვალიერებელმა ლილი ბაქრაძემ, — რომ სამამულო ქსოვილის ეს ნაწარმი, აგრეთვე ბულგარეთიდან ჩამოტანილი საქონელი შეკერილია ეფექტიანად, პატარა პარტიებად, თანაც თითოეულ ეგზემპლარს ფერების ორიგინალური გადაწყვეტა აქვს.

სხვათა შორის, ეს დიზაინერთა ნამუშევრების გაცვლის შესახებ ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობაა. თავის მხრივ, თბილისური მოდა ნაჩვენები იქნება ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში, სადაც ადგილობრივი მატერიალურ-ტექნიკური და სანედლეულო ბაზის გასაცნობად იყვნენ ქართველი დიზაინერები.

— შევისწავლოთ კონიუნქტურა, უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მყიდველთა მოთხოვნა — ასეთია ბულგარელ სპეციალისტებთან ჩვენი თანამშრომლობის ძირითადი იდეა, — თქვა საქართველოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრმა კ. სალიამ. — იგი არა მარტო კომერციულ მოგებას ჰპირდება ორივე მხარეს, არამედ საშუალებას გვაძლევს ერთმანეთს გავუზიაროთ შრომის ორგანიზაციის, მოსახლეობის მომსახურების ახალი ფორმების დანერგვის გამოცდილება. ანალოგიური საქმიანი კონტაქტები გათვალისწინებული გვაქვს დავამყაროთ სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთანაც.

(საქინფორმი).

• • •

სურათზე: ქალის ტანსაცმლის მოდელებს უჩვენებენ თბილისელი მანეკენები.

საქინფორმის ფოტო.

რეპლიკა

რა ღირს აბაზიანი ნაყინი?

თბილისური ნაყინი, მართალია, გემოვნებითა და ხარისხით თავს ვერ მოიწონებს, მრავალფეროვანი ასორტიმენტითაც არ გამოირჩევა, მაგრამ ზაფხულის ამ პაპანაქებაში მასზე მაინც დიდი მოთხოვნილებაა. ყოველდღიურად თბილისში ორმოც ტონამდე ნაყინი იყიდება, საღამოობით კი სანთლით საძებარია. მაგრამ გასარკვევია — რა ღირს „ესკიმო", „პლომბირი", „შოკოლადის პლომბირი" წონით თუ ცალობით?

ამაზე პასუხს ნაყინის ყოველდღიური მუშტარიც კი ვერ გაგცემთ, რადგან ნაყინით ვაჭრობა სარფიან საქმედ არის გადაქცეული და ცივი ნაყინით ზოგიერთი უსინდისო გამყიდველი ხელს ითბობს.

— ბიძია, რა ღირს ოცკაპიკიანი ნაყინი? — ეკითხება პატარა გოგონა ჩაკუჩატებულ შავგვრემან გამყიდველს.

ასეთ შემთხვევებს ბევრი ჩვენგანი გადავყურივართ, მაგრამ ვითომ არაფერიო, მივეჩვიეთ...

ვინ ამახინჯებს ნაყინის ფასს? თითქმის ყველა, ვინც ნაყინს ყიდის.

კიროვის რაიონის საზკვების № 6 კომბინატის ნაყინის გამყიდველმა აგიბ ოთარის ძე შაროევმა ორმოც ცალ ნაყინში მომხმარებელს ათი მანეთის ნაცვლად თხუთმეტი მანეთი გადაახდევინა, ამავე რაიონის საზკვების 206 გაერთიანების ნაყინის გამყიდველი ადრე ნასამართლევი ნიკოლოზ შამილის ძე დავიდოვი უფრო „თავაზიანი" აღმოჩნდა და მყიდველი ორი მანეთით მოატყუა.

მარტო კიროვის რაიონის საზოგადოებრივი კვების ობიექტებში როდი ამახინჯებენ ფასებს. ასევე იქცევიან ოცდაექვსი კომისრის რაიონის საზოგადოებრივი კვების № 30 მაღაზიის ჯიხურის გამყიდველი გიორგი ბოგდანის ძე მატინიანი, ამავე რაიონის სურსათვაჭრობის № 244 პავილიონის გამყიდველი მარიამ რაჟდენის ასული ოქროპირიძე, გლდანის რაიონის ნაყინის № 6 გაერთიანების გამყიდველ-დამტარებელი მურაზ მერალის ძე მირზოიანი, კალინინის რაიონის საზოგადოებრივი კვების გაერთიანების № 180 პავილიონის ნაყინის გამყიდველი როზა ილიკოს ასული ალიევა, ორჯონიკიძის რაიონის საზოგადოებრივი კვების კაფე „წყნეთის" გამყიდველი არტო ოგანეზის ძე დოლმაზოვი, საბურთალოს საზოგადოებრივი კვების № 16 გაერთიანების ნაყინის გამყიდველი ჯემალ აშოტის ძე სადოიანი, ამავე რაიონის კაფე „თოლიას" თანამშრომელი ოფელია ილიას ასული ახმედოვა, კაფე „მოსკოვის" დამტარებელ-გამყიდველი ეკატერინე სანდროს ასული მანუკიანი, ლენინის რაიონის საზოგადოებრივი კვების ჩაის № 1 გაერთიანების დამტარებელ-გამყიდველი სიმან ვასტონის ძე მადოიანი.

ნაყინით ვაჭრობენ ისეთებიც, რომლებიც არსად მუშაობენ. ოქტომბრის რაიონის საზოგადოებრივი კვების ნაყინის საწყობის გამგემ დ. მიქიაშვილმა ნაყინის ფაქტურა გამოუწერა უმუშევარ ვინმე მიხეილ ატარის ძე ავდოიანს. ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო, ჰო და ავდოიანმაც მუშტარს თვალსა და ხელს შუა ოთხი მანეთი ააფცქვნა.

ამავე საწყობის მძღოლ-ექსპედიტორს ჩოკან რაშიდის ძე ისოიანს სამოცი კილოგრამი უფაქტურო ნაყინი აღმოუჩინეს. ისოიანმა განმარტა — საწყობიდან მოვიპარეო.

დავიჯეროთ?!

თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების მუშაკებმა რამდენიმე საათში აღმოაჩინეს ეს დარღვევები, ნაყინის ყველა გამყიდველს ხომ ვერ მივუჩენთ ზედამხედველს? სავაჭრო ორგანიზაციებისა და ობიექტების ხელმძღვანელებს უფრო მკაცრად უნდა მოვკითხოთ იმისათვის, თუ როგორ ზრუნავენ თავიანთ ხელქვეითთა შორის სათანადო წესრიგის დასამყარებლად.

გ. ბახტურიძე.

უსიტყვოდ.

უკანასკნელ საათს

გუშინ თბილისის „დინამომ" უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეთხუთმეტე ტურის მატჩი გამართა ალმა-ათაში ადგილობრივ „კაირატთან". შეხვედრა დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი

ტელევიზია — ოთხშაბათი, 13 ივლისი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — „ნაშუადღევს". 13.50 — „ათლეტიზმი". 15.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.40 — მათემატიკის ტელეკურსი. 16.10 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. საუმაწვილო სატელევიზიო კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „მარტორქას ნიშნით". 17.30 — „ჯადოსნური ეკრანი". 17.45 — მოსწავლეებისათვის — „წყაროსთვალი". 18.20 — განცხადებები. 18.25 — ახალი წიგნები. 18.50 — რესპუბლიკური თეატრების ფესტივალი. სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „ერთი ცის ქვეშ". ნ. დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვით 1-ლი მოქმედება. 20.00 — მოამბე. 20.35 — სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „ერთი ცის ქვეშ". მეორე მოქმედება. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — „გარდაქმნის წახნაგები". 23.10 — ფეხბურთი ალმა-ათის „კაირათი" — თბილისის „დინამო". 12 ივლისის მეხვედრის II ტაიმის ვიდეოჩანაწერი.

მეორე პროგრამა. 18.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იამვილების ოჯახი". 19.00 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 19.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბალების პოეზია". 20.00 — მოამბე. 20.35— „ათლეტიზმი". 21.00 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების პროგრამა.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35—მულტფილმი. 9.55 — კინოალმანახი „მსოფლიოს გარშემო". 10.55 — რუსულ ხალხურ სიმღერებს ასრულებენ ე. უსტინოვა და ბაიანისტთა ანსამბლი. 11.15 — ახალი ამბები. 11.25 — დოკუმენტური ტელეფილმები. 16.30 — ახალი ამბები. 16.45 — ხუთწლედი: საქმეები და ადამიანები. დოკუმენტური ფილმები. 17.30 — „გამარჯობა, მუსიკავ!". 18.15 — ახალი ამბები. 18.20— პოეზიის წუთები. 18.25 — ვსწავლობთ დემოკრატიას. ჟურნალისტთა შეხვედრა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებთან. 19.15 — მუსიკალური პორტრეტი. „იეჲი მაქსიმიუკი". 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.05 — მულტფილმები. 20.30 — XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის კურსით. გარდაქმნა: პრობლემები და გადაწყვეტანი. „საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნა და ინტერესები". 22.00 — „ვრემია". 22.50 — კლასიკური მუსიკის გალა-კონცერტი (საფრანგეთის ტელევიზია). 0.10 — დღეს მსოფლიოში. 0.20—„მოქმედი პირნი". „გთხოვთ აღმადგინოთ". ქ. მოსკოვის № 151 პროფტექნიკური სასწავლებლის ყოფილ დირექტორ ა. მატვეევზე.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — ფილმ-კონცერტი „როცა მოჰყვება სიმღერა"… 10.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 10.20 და 11.55 — ფრანგული ენა. 10.50 — მხატვრული ტელეფილმი „ზღაპრების მდელო". 12.25 — მხატვრული ტელეფილმი „პოლონეთის გზები". III სერია. 13.55 — დოკუმენტური ფილმი „ედგარ კაულინის უკანასკნელი უშმეები". 14.45—ახალი ამბები. 14.50 — მხატვრული ტელეფილმი „გადამალული წიგნი". პირველი ფილმის II სერია. 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — მულტფილმი. 19.25 — ფეხბურთი. „სპარტაკი"-„ჟალგირისი". შესვენებისას — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.20 — თუ გინდა ჯანმრთელი იყო. 21.30 — მუსიკალური კიოსკი. 22.00 — „ვრემია". 22.50 — მხატვრული ტელეფილმი „პოლონეთის გზები". III სერია. 0.20 — მოსკოვური ამბები.

საკორესპონდენტო პუნქტები:

სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; რუსთავი — 14-27-87; გორი — 2-33-10; სამტრედია — 2-19-90; ზუგდიდი — 2-28-40; ტყიბული — 5-56-36; თელავი—3-12-09; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 25-82. ხაშური — 3-20-77. ახალციხე — 2-03-15.

რედაქციის მისამართი:
380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14
ტელეფონები:
მისაღები — 93-95-54, მშრომელთა წერილების განყოფილება — 99-73-24



КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 05434 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29